ლელო

№ 66
(11 215)

21 – 24 აგვისტო, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხუხულა ნაკრებს

უკრაინა — საქართველო (ეროვნული ნაკრებები) 4–0

19 აგვისტო. კიევი. ოლიმპიური სტადიონი. 10000 მაყურებელი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი

უკრაინა: შოვკოვსკი (ვორობიოვი, 46), ლუჟნი (სტაროსტიაკი, 70), ევტუშოკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, გუსინი, მიკიტინი (სკაჩენკო, 46), კალიტვინცევი (კოვალიოვი, 46), კოსოვსკი (მაქსიმიუკი, 42), შევჩენკო, რებროვი.

საქართველო: ტოგონიძე (გვარამაძე, 46), ცქიტიშვილი, შეყილაძე, დიდავა (სილაგაძე, 73), კალაძე, კობიაშვილი, ნემსაძე (წერეთელი, 46), ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, იაშვილი (დემეტრაძე, 61).

გოლები: რებროვი (1, 43), სკაჩენკო (57), მაქსიმიუკი (75).

მსაჯი: რ. ლაიუკსი (ლატვია).

„ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი კიევიდან:

მატჩის მეორე დღეს უკრაინული გაზეთები მართალია, ხოტბას ასხამდნენ ნაკრების მწვრთნელებს – გალერი ლობანოვსკის, იოფეც საბოს, იმავდროულად, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია. ახლა, მიზეზს არ იკითხავთ? თურმე ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირის წინ „ასეთ სუსტ მეტოქესთან თამაში არას გვარგებდა და ვისი იდეა იყო ასეთი დონის სპარინგ-პარტნიორის შერჩევა“? – წერს კიევის რუსულენოვანი გაზეთი „სპორტივნაია უკრაინა“. აი, სადამდე მივედით...

გარდა ამისა, რომ უკრაინელებთან შეხვედრა წმინდა პრესტიჟულ ხასიათისა გახლდათ (ნაკრებების დონეზე ეს იყო ამ გუნდების პირველი მატჩი), მას პასუხი უნდა გაეცა მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე – როგორ ხვდებიან ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს. დღეს, როცა ამ პრესტიჟული შეჯიბრების დაწყებამდე ორი კვირაღა დარჩა, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი მოსამზადებელი ეტაპი ნაკრების მწვრთნელებს ძალზე ნაკლებეფექტურად გაუტარებიათ. ღრმად ვარ დარწმუნებული, მინდორზე შოთა არველაძე და კახა ცხადაძე რომც ყოფილიყო, ვერც ისინი შეცვლიდნენ თამაშის ხასიათს, იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ უკრაინელ ფეხბურთელებს, რომლებმაც „ქარიშხალი“ დაატეხეს ჩვენს დაცვას. რებროვმა და მისმა თანაგუნდელებმა ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს ჩვენს ბიჭებს და თვალნათლივ დაგვანახეს, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში საქართველოს დღევანდელი ეროვნული ნაკრები.

«ლელოს» ფეხბურთის განყოფილების კომენტარი

როგორც ხედავთ, მდგომარეობა კრიტიკულს უახლოვდება. უკრაინელებთან მატჩმა მართლაც რომ თვალნათლივ დაგვანახვა საქართველოს ეროვნული ნაკრების დღევანდელი მოზადების დონე. მასპინძლებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჯაბნეს – ფიზიკურ, ტაქტიკურ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტექნიკურ მოზადებაშიც კი. არადა, ამ ხარვეზების დანახვა მხოლოდ ძლიერ სპარინგულ მატჩებშია შესაძლებელი, აქამდე კი, ევრო-2000-ის სამზადისში ჩვენს ნაკრებს ფაქტობრივად არ ჰყოლია სათანადო მეტოქე. ვინ არის ამაში დამნაშავე?

მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და სანამ გვიან არ არის, სათქმელი ითქვას. დღეს ასეთი საგანგაშო მდგომარეობა არ იქნებოდა, ფეხბურთის ფედერაციას ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების დაგეგმვისას მეტი პრინციპულობა და წინდახედულობა რომ გამოეჩინა. ჯერ კიდევ 1996 წელს სტუმრად ჩავატარეთ მატჩები კვიპროსში, რუმინეთში, საბერძნეთსა და ნორვეგიაში. მაშინდელი მოლაპარაკებების თანახმად, ამ ქვეყნების ნაკრები გუნდები წლეულს სათამაშოდ თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, საბერძნეთი და ნორვეგია ჩვენს შესარჩევ ჯგუფშია და ამიტომ არ ჩამოდიანო, თქვეს თავის გასამართლებლად. ეს უხუსური განცხადებაა! განა რუსები და ფრანგები ერთ შესარჩევ ჯგუფში არ არიან? მიუხედავად ამისა, გაზაფხულზე ფრანგები სათამაშოდ მოსკოვს ჩავიდნენ. ამისთანა მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მოდით, პირდაპირ ვაღიაროთ, რომ სფფ-მ ნაკრების მატჩების დაგეგმარებისას მოვალეობას თავი ვერ გაართვა და მეტოქეებად უკრაინის გარდა ყველა სუსტი გუნდი შეარჩია. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ასეთი მდგომარეობა ფედერაციას ხელს აძლევდა – ყირილობის წინ ნაკრების გუნდს არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგო, მერე რა, რომ სუსტ გუნდებს ხვდებოდა. მალტის ტურნირზე მეორეხარისხოვან ქვეყნებთან გამარჯვებებმა, ტუნისის ნაკრებთან ფრედ ნათამაშევმა მატჩმა (მერე რა, რომ აფრიკელებმა მეორე შემადგენლობა გამოიყვანეს ჩვენს წინააღმდეგ!), რუსებთან ზედმეტად მეგობრულმა შოუმატჩმა გაუმართლებელი ეიფორია შექმნა საქართველოს ეროვნული ნაკრების ირგვლივ. მადლობა ღმერთს, რომ უკრაინელებმა, მართალია გვიან, მაგრამ შესარჩევ ტურნირამდე მაინც დაგვანახეს ჩვენი სახე. 5 სექტემბრამდე კიდევ დრო არ დარჩა და ნაკრების მწვრთნელებს უამრავი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი – ფაქტობრივად, ხელახლაა შესაქმნელი დაცვის ხაზი, არც ნახევარდაცვასა და თავდასხმაშია ყველაფერი რიგზე.

ისე, სასხვათაშორისოდ ვიტყვით, – სად, რომელ ქვეყანაში ხდება, როცა გუნდი აღმავლობის გზაზეა და წარმატებით თამაშობს იტალიასთან და პოლონეთთან, ერთი ხელის მოსმით, სასაცილო მოტივით ათავისუფლებს ნაკრების მთავარ მწვრთნელს. საქმისადმი ასეთი არაპროფესიული მიდგომის შედეგებს ახლა ვიმკით. ის მაინც ვიცოდეთ, სფფ-ს აღმასკომის რომელმა წევრებმა მისცეს მაშინ ხმა ასეთ „ბრძნულ“ გადაწყვეტილებას, ვინ ჩაუყარა ფუძე საძირკველი ხუხულა ნაკრებს?

რუსები პრემიალურებს ზრდიან

„ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტის არკადი სმირნოვის ცნობით, რუსეთის საფეხბურთო ნაკრების ყველა მოთამაშე და მწვრთნელი უკრაინისა და საფრანგეთის გუნდებზე გამარჯვების შემთხვევაში მიიღებენ ნ-ნ ათას დოლარს თითოეული. ნაკრებში ეს თემა გასაიდუმლოებულია.

მესამე ადგილზე და ისევ იმ ჯგუფში

ვიტყობინებოდით, რომ ქართველმა კეტბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის „B“ ჯგუფში ნახევარფინალამდე მიაღწიეს, სადაც ხორვატებთან დამარცხდნენ 1:8. ამის შემდეგ მესამე ადგილისათვის მატჩში ისინი მასპინძლებს, ავსტრიელებს შეხვდნენ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს 16:3. „A“ ჯგუფში გადასვლის პატივი მხოლოდ I და II ადგილზე გასულებს ერგოთ. ისე, ევროპის 16 უძლიერეს გუნდთან ჰიდილში III ადგილი ჩვენს გუნდს, რომელიც დიდი ხნის სულაც არ არის, წარმატებად უნდა ჩაეთვალოს.

„ვარსკვლავების“ ბუდაპეშტი

18 აგვისტოს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის XVII ჩემპიონატი მძლეოსნობაში. მედლები გათამაშდება 46 სახეობაში.

ჩემპიონატის პირველ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ საკმაოდ უიღბლოდ, საქართველოს ორი მობრძანალი რუსუდან რუსიძე და თამარ შანიძე: მათ 100 მეტრზე წინასწარ გარბენებში 8 მონაწილეს შორის ბოლო ადგილები დაიკავეს და, ცხადია, ბრძოლას გამოეთიშნენ.

ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი — 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მოიპოვა ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, რუსმა ილია მარკოვმა (1:21.10). საინტერესო ბრძოლა გაიმართა ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის. აქ ყველას აჯობა უკრაინელმა ალექსანდრ ბოგაჩმა (21,17 მეტრი). 10 000 მეტრზე მორბენალ ვაჟებში იმარჯვა პორტუგალიელმა ანტონიო პინტუმ (27.56,75).

გაბაცნობთ სხვა გამარჯვებულებს. *ქალები: 100 მ* — კრისტინ არონი (საფრანგეთი) — 10,73, ეს შედეგი ევროპის ახალი რეკორდია; *10 კმ* — სონია ო'სალივანი (ირლანდია) — 31.29,33; *შუბი* — ტანია დამასკე (გერმანია) — 69,10. *ვაჟები: 100 მ* — დარენ კემპბელი (ბრიტ.) — 10,04; *ურო* — ტიბორ გეჩკი (უნგრ.); *სიგრძე* — კირილ სოსუნოვი (რუსეთი) — 8,28; დავძენთ, რომ ბირთვისმკვრელი ეს ის ბოგაჩია, რომელიც შარშან მსოფლიო ჩემპიონი გახდა და პირველობის ოქროს მედალი მხოლოდ 5 დღე და ღამე ჰქონდა გულში ჩაკრული. მერე დოპინგკონტროლის პასუხიც მოვიდა და სანუკვარი ჯილდო ეფედრინის მოფარულ სპორტსმენს ჩამოართვეს. იგივე ბედი ეწია ილია მარკოვსაც. წლეულს კი, როგორც ნახეთ, დისკვალიფიკაციის შემდეგ, ორივე სპორტსმენმა უძლიერესის სახელი მოიპოვა კონტინენტზე. აი, მსოფლიო ჩემპიონობას კი, როგორც ჩანს, უდოპინგოდ ვერ მისწვდებოდნენ. ვნახოთ, იქნებ, მალე, მსოფლიო ჩემპიონობაც დაიბრუნონ.

ჟილიეჯა, დაჯილდოება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტული ფედერაციები და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ შესანიშნავ პიროვნებას და ღვაწლმოსილ მკურნალს, ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარ ექიმს *ოთარ (მამუკა) ჟორჟოლიანს.*

* * *

საქართველოს სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებასა და რეაბილიტაციაში განსაკუთრებული წვლილისა და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით *ოთარ ჟორჟოლიანი* დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის *საპატიო სიგელით.*

«ომეგა» ისევ მწვერვალზეა!

არ ვიცით რა „ნათესაური“ კავშირია ომეგასა და ალპინიზმს შორის, მაგრამ ეს ცნობილი ფირმა ასეთი კავშირისკენ ღიად რომ ისწრაფვის, ცხადია. მყინვარწვერზე ეკლესიის დამონტაჟების და ჰიმალაიში სალაშქრო ქართველ მთამსვლელთა ომეგელთა დაბმარებაზე ადრე გაუწყეთ. ახლა გაცნობებთ, რომ ამ ფირმამ კიდევ ერთი საქველმოქმედო ნაბიჯი გადადგა ალპინიზმის სასიკეთოდ – სხვა ფირმებთან ერთად დააფინანსა ჟურნალისტთა ალპინიადა, ლენტეხის რაიონში. ასეთი ალპინიადა მეორედ ჩატარდა ტელეკომპანია „იბერიას“ თაოსნობით სწორედ „იბერიას“ უწოდეს ჟურნალისტებმა ერთ-ერთ უცნობ მწვერვალს, რომელიც 3800 მეტრი სიმაღლისაა და რომლის დალაშქვრაში მხოლოდ „მთებთან დაახლოებული“ მასმედიელები მონაწილეობდნენ. ერთობლივმა ამალამ კი მწვერვალი „ნინოშვილი“ (3700) და „მარჯანიშვილი“ (3850) დალაშქრა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის განცხადება

მას შემდეგ, რაც ქართულ საფეხბურთო გუნდებს საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლის საშუალება მიეცათ, ჩვენი სპორტული რედაქციები ცდილობენ უცხოეთში მიავლინონ ჟურნალისტები და მკითხველს უშუალოდ შეჯიბრების ადგილიდან მიაწოდონ ინფორმაცია. საქართველოში უკვე რამდენიმე გაზეთი არსებობს, მწირი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, მივლინების ხარჯებს რომ არ ერიდება და გამგზავრებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ პრობლემებსაც (ამ პრობლემათა მოგვარებაში, ზოგჯერ, გუნდებიც გვეხმარებიან და მადლობის მეტი რა გვეთქმის). ასე მოხდა ბათუმის „დინამოს“ ამასწინანდელი ბელგრადული მატჩის შემთხვევაშიც: „სარბიელმა“ იუგოსლავიაში მიავლინა ქართული ფეხბურთის განყოფილების თანამშრომელი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრი კობა ინასარიძე, რომელმაც მოსკოვიდან ბელგრადში ბათუმელებთან ერთად იმგზავრა. ბელგრადის აეროპორტში, ვიდრე საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს გაივლიდნენ, გაზეთის კორესპონდენტისა და დინამოელთა მთავარი მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელის თენგიზ ბაკურაძის უხეში ჩარევა ხმამაღალ საუბარსა და შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. „ვიღაც თავხედი კორესპონდენტის“ საქციელით პატივმოყვარეობაშელახულმა და გაგულისებულმა ბატონმა ბაკურაძემ „გამოსავალს“ უმალ მიაგნო: მესაზღვრეთათვის წარსადგენი საერთო სიიდან ამოშალა ჟურნალისტის გვარი და ამხელა გზაგამოვლილი, ხარჯგაწეული და საზღვართან ორ ნაბიჯზე მდგომი კაცი ბელგრადის აეროპორტში ოთხდღიანი პატიმრობისათვის გაიმეტა. ოცდაათკაციან ქართულ დელეგაციაში, სამწუხაროდ, ისეთი არავინ აღმოჩნდა, ჩვენს სარბიელ კოლეგას გამოქომაგებოდა და აბობოქრებული ბაკურაძისათვის „განაჩენის“ გადასინჯვა ეთხოვა. ჩვენებურთაგან განწირული ჟურნალისტი იუგოსლავიელმა მესაზღვრეებმა დაინდეს და ნახევარსაათიანი ახსნა-განმარტების შემდეგ ქვეყანაში შესვლის ნებართვა მისცეს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია პროტესტს უცხადებს ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას, მთავარ მწვრთნელს, დელეგაციის მეთაურს თ. ბაკურაძეს კი ბრალს სდებს იმისთვის, რომ:

– პირადი ანგარიშსწორების მიზნით, ბოროტად გამოიყენა დელეგაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება;

– საფრთხე შეუქმნა საქართველოს მოქალაქის თავისუფლებას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

– ცინიკურად და უცერემონიოდ ხელი შეუშალა ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში;

– აბუჩად აიგდო გაზეთის რედაქცია და ათასობით მკითხველი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა კორპუსი.

ასეთი საქციელისთვის, ჩვეულებრივ, პასუხს აგებენ.

იმის იმედიც გვაქვს, რომ ამგვარი ინციდენტი არასდროს განმეორდება.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

მშვილდოსნობა

თურქთა და ამერიკელთა ქართველი რძლები ისრებს სხვისთვის ისვრიან

გუშინ საფრანგეთში დაიწყო ევროპის მშვილდოსან ქალთა პირად-გუნდური პირველობა. ერთ-ერთ ფავორიტადაა მიჩნეული თურქეთის სახელით მოსპარეზე *ნატო ნასარძე.*

ჩვენი ყოფილი მეორე მშვილდოსანი *ხათუნა ქვრივიშვილი* აშშ-ში გათხოვდა და მას, როგორც ამერიკის მოქალაქეს,ახლა უფლება აქვს გამოვიდეს სხვადასხვა შეჯიბრებაში, ცხადია, მას სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვისაც ამზადებენ. ნატო ნასარიძემ და ხათუნა ქვრივიშვილმა ამ დღეებში აშშ-ის ღია პირველობაში იასპარეზეს, სადაც ნატო მეორე იყო, ხათუნა – მეოთხე. სხვათა შორის, ხათუნამ გვარიც შეიცვალა, მეუღლის გვარზე გადაეწერა. დავძენთ, რომ ხათუნა ქვრივიშვილს ჩვენს გუნდში ატლანტაში ოლიმპიადაზე გამოსვლის შემდეგ არსად უასპარეზია, გარდა ამერიკის შიდა შეჯიბრებებისა და მსოფლიოში უძლიერესთა რეიტინგში ბოლო 50-ე ადგილი უკავია.

ალექსანდრე (ალიოშა) კოტრიკაძე



ჩვენმა საზოგადოებამ, ქართულმა სპორტმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, 67 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი ალექსანდრე (ალიოშა) კოტრიკაძე. ჩვენგან წავიდა კაცი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ემსახურა ქართულ ფეხბურთს, იგი საჭეხთან ედგა მის პირველ დიდ გამარჯვებას...

ალიოშა კოტრიკაძე დაიბადა 1930 წელს. რაც თავი ახსოვდა, მისი მთავარი გატაცება ცხოვრებაში იყო წიგნი და ფეხბურთი, ფეხბურთი და წიგნი. არა უბრალო სკოლა, არამედ ცნობილი 35-ე დაამთავრა, რომლის სახელი და აღსაზრდელები იმ წლებში ჰქუხდნენ მთელ საბჭოთა კავშირში. ამ სკოლის ღირსებას წარმოადგენდნენ მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, ავთანდილ ჭკუასელი და ბევრი სხვა. ბიჭებს აღშზრდელიც ღირსეული ჰყავდათ. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ სკოლადამთავრებულთა გზა თბილისის „დინამოში“ გრძელდებოდა — გუნდში, რომელშიდაც ყოველი ბიჭუნა ოცნებობდა, ვინც კი ბურთს შეხებია. მაგრამ 35-ე სკოლის ასეულობით აღზრდილთაგან უმცირესობა ხვდებოდა „დინამოში“, მათგან კი მხოლოდ ერთს ხვდა ბედნიერება გაევლო მთელი გზა გუნდის მთავარ მწვრთნელობამდე. ალიოშა კოტრიკაძემ 7 წელი წადა ითამაშა „დინამოში“, ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა ასორმოცდაათამდე მატჩი გამოჩენილ ოსტატთა ღონღობერიძის, ანთაძის, ჭკუასელის, ძიაპშიპას, ელოშვილის, მარღანიას მხარდამხარ, რომ არაფერი ვთქვათ მათზე, ვისთანაც სწავლობდა 35-ე სკოლაში. ეს იყო საკმაოდ ძნელი წლები გუნდის ისტორიაში, როცა იგი „მერყეობდა“ მეორედან მეცხრე ადგილამდე. მერე კი დაიწყო ახალი აღმასვლა — ბრინჯაოს მედლებამდე. ბევრმა, ვინც გუნდის ხერხემალს წარმოადგენდა, დაამთავრა გამოსვლა. გუნდი თითქმის ყოველ სეზონს ახალი მწვრთნელით იწყებდა. და აი, ამ რთულ სიტუაციაში ჩაიბარა „დინამო“ მიხეილ იაკუშინმა, რომელმაც თანაშემწედ აიყვანა 31 წლის ალიოშა კოტრიკაძე. თავის დროზე სწორედ მ. იაკუშინმა დააწინაურა იგი „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში და არც შემცდარა — ღირსეულად წარმოჩინდა ახალგაზრდის შესაძლებლობა და პერსპექტივა. და აქაც, მწვრთნელის ამპლუაში, კოტრიკაძემ თავი გამოიჩინა, როგორც გულმოდგინე თანაშემწემ. აღიარებული სპეციალისტების ანდრო ჟორდანიასა და გავრილ კარალიოსის გვერდით თავად გახდა მაღალი კლასის პროფესიონალი. 1964 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამო“ პირველად მოიპოვა დიდი გამარჯვება და ალიოშა კოტრიკაძე კოლეგებთან ერთად კაპიტნის ხიდურზე იდგა.

მომდევნო წლებში იგი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. ბევრი გააკეთა საერთო კლასისა და ფეხბურთელთა ოსტატობის ამაღლებლად. ბოლომდე უხისჭო და პატიოსანი თამაშის პრინციპის ერთგული დარჩა. ა. კოტრიკაძე ოცნებობდა დაეწერა წიგნი მწვრთნელის მძიმე ხვედრზე, მოეთხრო ფეხბურთელებზე, რომლებიც თამაშმა შეაჯვედრა ცხოვრებაში. მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ არ მისცა ამის განხორციელების საშუალება, ისევე როგორც განუხორციელებელი დარჩა უამრავი ჩანაფიქრი.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი; საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი; საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“.

ვახტანგ ჩიქოვანი და სოფიკო გოგიტიძე

ნიქიარ ქიაზიმოვა

ბესიკ კაკალაძე

ქობულეთის გამგებელმა ტარიელ ხალვაშმა ეს კურორტი ნამდვილ საჭადრაკო ცენტრად აქცია

სათაურში გამოტანილი სიტყვების უპირველეს დასტურად ის გამოდგება, რომ ქობულეთში გაიხსნა და წარმატებით მუშაობს ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა (დირექტორი ა. ბერძენიშვილი). მაგრამ ტარიელ ხალვაში სკოლის მხოლოდ ავტორიტეტული სახელით როდი კმაყოფილდება, სურს იგი პოპულარული გახადოს და ასეცაა – ამ სკოლის ტურნირებში სისტემატურად გამოდიან არა მხოლოდ ქობულეთისა და აჭარის, არამედ სრულიად საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მოჭადრაკეები. წლევანდელი საჭადრაკო მარათონი კი ამ შავიზღვისპირა კურორტზე 7 ივნისს დაიწყო და შემოდგომაზე დამთავრდება. ადრე გაუწყეთ ჩატარებული ტურნირების შესახებ. დღეს კიდევ ორი საერთაშორისო ტურნირის შედეგებს გთავაზობთ. ესაა „რემკა-98“ და „მართვე-98“, რომელშიაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოჭადრაკეთა გარდა, ისევე, როგორც წინა ტურნირებში, აზერბაიჯანელი სტუმრებიც მონაწილეობენ. ეს ხანგრძლივი ფესტივალი ნამდვილად არ არის მოსაწყენი.

ტარდება აგრეთვე ბლიც-ტურნირები და ერთდროული თამაშის სეანსები, ცხადია, მონაწილეები შავი ზღვის სიკეთითაც სარგებლობენ.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. *„რემკა-98“. „ა“ ტურნირი. ვაჟები:* 1. ვახტანგ ჩიქოვანი (თბილისი) – 6,5 ქულა, 2. ზურაბ ტყებუჩავა (ხობი) – 5,5, 3. ალექსანდრე ასლანოვი (ბაქო) – 3,5. *ქალები:* 1. სოფიკო გოგიტიძე (ქობულეთი) – 3,5, 2. მარიკა ჯაფარიძე (თბილისი) – 3,3. ნადია კაფაროვა (ბაქო). *„ბ“ ტურნირი. 13 წლის ჭაბუკებისა და გოგონებისთვის:* 1. ნიქიარ ქიაზიმოვა – 3 (ბაქო) - 10,5, 2. ბესიკ კაკალაძე (ქობულეთი) – 10 (უკეთესი კოეფიციენტით), 3. ბექა გოგიტიძე (თბილისი) -10. *გოგონები:* 1. ქიაზიმოვა – 10,5. 2. სალომე ცინცაბაძე (ქობულეთი) – 6, 3. მარინა დიდმამაშვილი (ახალციხე) –3. *„გ“ ტურნირი. 10 წლის ჭაბუკები:* 1. კაკალაძე – 10, 2. არჩილ მჟავანაძე – 9,5, 3. გიორგი მგალობლიშვილი (სამივე – ქობულეთი) – 8,5. *8 წლის ჭაბუკები:* 1. მგალობლიშვილი – 8,5, 2. ბექა მჟავანაძე (ქობულეთი) – 6,5 (უკეთესი კოეფიციენტით), 3. სარხან გაჯიევი (ბაქო) –6,5.

„მართვე – 98“. „ა“ ტურნირი. ვაჟები. 1. ჩიქოვანი – 8, 2. გოჩა ტყებუჩავა (სენაკი)– 6 (უკეთესი კოეფიციენტი), 3. ანა მათნაძე (თელავი) – 6. *ქალები:* 1. მათნაძე – 6, 2. რუსუდან გოლეთიანი (სოხუმი) – 5, 3. ნათია ფხაკაძე (გორი) – 2,5. *„ბ“ ტურნირი. 14 წლის ჭაბუკები:* 1. ლევან კილასონია (სენაკი) – 6,5, 2. ბექა გოგიტიძე (უკეთესი კოეფიციენტით) – 6, 3. გიორგი შურღულია (სენაკი) – 6. *10 წლის ჭაბუკები:* 1-2. კაკალაძე – 10, და მგალობლიშვილი – 10 (თანაბარი კოეფიციენტით), 3. ნოდარ მიქელაძე (ქობულეთი) – 8. *10 წლის გოგონები:* 1. თეონა გახოკიძე (თბილისი) –6,5, 2. ნინო კალანდაძე (ლანჩხუთი) – 6, 3. სოფიკო ხუფუნია (გორი) – 2,5.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ქობულეთის გამგეობის, „აღორძინების კავშირის“ ქობულეთის ორგანიზაციის, კინოსტუდია „რემკას“ და განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს პრიზებით.

მ. ფუფუნავა,
„ლელოს“ სპეც. კორ.,
ქობულეთი

გიორგი მგალობლიშვილი



ანა მათნაძე

აზერბაიჯანელმა ა.ასლამოვმა ლექცია-სემინარი ჩაატარა მოზარდ მოჭადრაკეებთან

„დინამო“ – „პრეზების“ კონფლიქტის ეკო

ტელეფაქსი გერმანიიდან

ფერილი მეექვსე

დასაწყისი იხ. „ლელო“ №61,62,63,64,65

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბატონ ოთარ ანდრიაძეს ვიცე-პრეზიდენტი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე ფკ მრეტები/ ფკ დინამო/ ფკ მანჩესთერ სითი / ფკ აიაქსი

აგვისტო, 1998. VC/Tp

დიდად პატივცემული ბატონო ვიცე-პრეზიდენტო,

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოს 25.07.1998 წერილის ფონზე, პირადად თქვენ სფფ-ში ორგზის შეხვედით ფკ მრეტებს. ამ შეხვედრებიდან გამომდინარე, თქვენს ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს:

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭო წარმოადგენს კლუბის მმართველობის უმაღლეს კანონიერ ორგანოს. ამასთანავე, ყველა დაინტერესებული პირისათვის თავდაპირველად ცნობილია, რომ ფკ მრეტების პრეზიდენტების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება კანონიერად არის შეზღუდული პარტნიორთა საბჭოს მიერ და, ამდენად, ფკ მრეტების ხელმძღვანელობა არ არის უფლებამოსილი შეცვალოს პარტნიორთა საბჭოს კანონიერი გადაწყვეტილება. მით უმეტეს, რომ ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოში პარტნიორებთან ერთად სათათბირო ხმის უფლებით შედიან კლუბის ხელმძღვანელები: კლუბის პრეზიდენტი ბატონი ირაკლი ქავთარაძე, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ კინკრაშვილი და პირადად მე (როგორც ერთერთი პარტნიორი, პირადად მე, აგრეთვე, ხმის უფლებით შევდივარ პარტნიორთა საბჭოში).

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ჩვენ ჯერ კიდევ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების დღიდან პირადად ვიცნობთ ერთმანეთს და თქვენთვის ცნობილი ფაქტია:

ფკ მრეტები და მისი პარტნიორთა საბჭო ქართულ ფეხბურთში პროფესიული წეს-კანონების დამკვიდრებას ცდილობდა ყოველთვის და ამისთვის ვარდებს არასოდეს გვესროდნენ. სწორედ ამიტომ ვართ ამ დღეში.

ფკ მრეტების ხელმძღვანელობა და პარტნიორთა საბჭო კვლავ ადასტურებს: *ფკ მრეტები არაფერს ცვლის თავის 25.07.1998 წერილში დაფიქსირებულ კანონიერ მოთხოვნებში.*

●

ჩვენი აზრით, ფკ მრეტების მოთხოვნები კი არ საჭიროებს შეცვლას, არამედ სფფ თქვენ თავად განსაჯეთ:

1. სფფ (ეროვნული ფედერაცია) საერთაშორისო პროფესიულ (ფიფა, უეფა) წეს-კანონებში უნდა იჯდეს და უნდა იცავდეს მას თუ არა?

საპირისპიროდ მაგალითად, ამ დღეებში პოლონეთის სპორტის მინისტრის მოქმედებაც კმარა — სპორტის მინისტრი სპორტის საერთაშორისო კანონებს არ იცნობს და ქვეყნის ფეხბურთის განსაცდელში აგდებს.

2. სფფ-მ, პარლამენტის სპორტის ქვეკომისიის საშუალებით, საერთაშორისო პროფესიულ წეს-კანონებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ქვეყნის კანონმდებლობა თუ არა?

სფფ-ს მეორე რიგგარეშე 1991 წლის ყრილობაზე (თუ იმას ყრილობა შეიძლება ეწოდოს!) პირადად მე, როგორც მაშინდელი სპორტის ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ტრიბუნიდან გავფრთხილე დელეგატები იმ საშიშროების შესახებ, რომ თუ ყველაფერი ყრილობით არ დაკანონდებოდა, მომავალში სპორტის დეპარტამენტი ჩაატარებდა ჩემპიონატს (არსებობს ამ ყრილობის ვიდეოჩანაწერი). (ახალი თაობისთვის დავძენ, სრულიად აპოლიტიკური პიროვნება გახლდით მთელი ცხოვრება და ასეა დღესაც. მაგრამ, რადგან 1991 წელს სფფ ფიფა-ს წევრი არ იყო, ხოლო სპორტის ქვეკომისიაში პროფესიონალი არავინ ჰყვდათ, სფფ-ს მხრიდან პროფესიული წეს-კანონების დარღვევის აღკვეთის მიზნით, დროებით დავთანხმდი შემოთავაზებას. აღნიშნული ყრილობის შემდეგ დავტოვე ქვეკომისია).

3. სფფ საერთაშორისო პროფესიული წეს-კანონების შესაბამის ეროვნულ პროფესიულ წეს-კანონებში უნდა იჯდეს და უნდა იცავდეს მას თუ არა?

საერთოდ, და პროფესიულ წეს-კანონებზე შეიძლება ლაპარაკი ქართულ ფეხბურთში:

როდესაც საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, იმდენჯერ არავის დაუყოფ-გაუერთიანებია და კვლავ დაუყოფია საქართველო, რამდენჯერაც სფფ-ს! ამის გამო არც ერთ ქართულ კლუბს, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, არ ძალუძს რეალური გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება. კლუბები მიწაზე კი არ აფუძნებენ თავისთავს, არამედ ტივზე, რომელსაც ვინ მართავს სინამდვილეში, დაუდგენელია!

როდესაც სფფ-ს წევრ კლუბებს სფფ-ს წესდებას და კომიტეტების რეგლამენტებს არ აძლევენ!

როდესაც სფფ-ს არა აქვს კონტრაქტისმჭრელი მოჭარული ფეხბურთელის ინსტიტუტი, მაშინ როდესაც ქართულ ფეხბურთში არ არსებობს ღიცენზირებული კლუბების ინსტიტუტი, რის გამოც ქართულ კლუბებს და ფეხბურთელებს ამ მხრივ ელემენტარული დაცვა არა აქვთ ქვეყნის გარეთ! და ამაზე სფფ-ს წარმოდგენაც არა აქვს! გასაგებია, რომ დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ღიცენზირების ინსტიტუტზე ლაპარაკი ყოველგვარ რეალობას მოწყვეტილია (იგი მხოლოდ ერთი კლუბის ჩემპიონატის ინსტიტუტის ავანტიურულ სამირკვლად თუ გამოდგება), მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო კონტრაქტისმჭრელი მოჭარულის ინსტიტუტის შექმნა. მითუმეტეს, სფფ-ს არამოჭარული ფეხბურთელის ინსტიტუტი, ღიცენზირების ინსტიტუტის გარეშე, სინამდვილეში კონტრაქტისმჭრელ მოჭარულის ინსტიტუტს წარმოადგენს.

როდესაც სფფ, როგორც საერთაშორისო პროფესიული ინსტიტუტის ნაწილი, რეალურად არც არსებობს.

4. სფფ თავისი წევრების კანონიერ ინტერესებს უნდა იცავდეს თუ არა?

საერთოდ საინტერესოა, ვინ არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრები? კლუბები, ფეხბურთის სკოლები და კუთხეების, დიდი ქალაქების ფედერაციები (!), თუ მათთან ერთად კვლავ ქარხნები და ა.შ.? ან კიდევ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სინამდვილეში „ფედერაციის ინსტიტუტს“ წარმოადგენს, თუ ეს ისე, სიტყვაზე ჰქვია?

სფფ-ს წევრი კლუბების კანონიერი ინტერესების რა დაცვაზე შეიძლება ლაპარაკი ჭინქლაძის ტრანსფერის საკითხის შემდეგ? სფფ-ს წევრი ფეხბურთის სკოლების კანონიერი ინტერესების რეალური დაცვის ინსტიტუტი ხომ საერთოდ არ არსებობს?

5. სფფ თავის დადგენილებებს უნდა ასრულებდეს თუ არა?

სხვათაშორის, სფფ-ს ნებისმიერი კომიტეტის დადგენილება არის სფფ-ს დადგენილება (სხვა საკითხია, საბოლოოა თუ არა სფფ-ს ამა თუ იმ კომიტეტის დადგენილება). პროფესიული წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება სფფ-ს სახელით გააკეთოს განცხადება, არ არის უფლებამოსილი იურისტებს და კომიტეტებს ამოფარებული აკეთებდეს განცხადებებს და აქვეყნებდეს დადგენილებებს. გადავხედოთ ფიფა-ს ნებისმიერ რეგლამენტს, ნებისმიერ დირექტივას! სფფ-ს თითოეული ხელმძღვანელი დაკავებული თანამდებობის შესაბამის პასუხისმგებლობას უნდა იცნობიერებდეს თავისი წევრების წინაშე, ქართული ფეხბურთის წინაშე, ქვეყნის წინაშე (ფეხბურთი ეკუთვნის ქვეყანას და არა პირიქით!).

6. სფფ თავის ლეგიონერებზე უნდა ზრუნავდეს თუ არა?

რამდენი წელია ქართველ ლეგიონერთა მთელი არმია არსებობს, მაგრამ სფფ-ში არ არსებობს ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემის ლეგიონერთა პრობლემების ინსტიტუტი! არა, ქვეყანაში მათი ხელოვნური დაკავების საკითხზე არ მოგახსენებთ, ასეთ არაკანონიერ მცდელობებს უკვე ჰქონდა ადგილი. ლეგიონერთა ბედზე მოგახსენებთ. წარმოდგენაც რომ არა აქვს სფფ-ს, თუ რატომ მარილის თოჯინებივით იხსნებიან ისინი ევროპის ფეხბურთის ოკეანეში! დიახ, თითქმის ყველა.

7. სფფ ქართულ საფეხბურთო მენტალიტეტს უნდა იცავდეს თუ არა?

აქ არ გვაწყენს დიდი ქართველის გიორგი ჩუბინაშვილის გახსენება, *პირველყოფილია „ქართულის“ არსებობა-არარსებობის განსაზღვრა-დადგენას რომ ითხოვდა* და მხოლოდ ამის შემდეგ ყველა დანარჩენს. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ამ მხრივ ქართულ ფეხბურთში პრობლემა არა გვაქვს...

ამდენი სათაფყანო სახელებია ქართულ ფეხბურთში, ჩვენი ბავშვები კი ვის ფეხბურთზე იზრდებიან!

კი ბატონო, პირადად მეც ამ აზრის გახლავართ, ფეხბურთი — გოლია მაგრამ ჩვენი იარაღებით ხომ უფრო ადვილად შევაგდებთ ამ ნანატრ გოლებს! თან ასეთ გოლებს ხომ უკეთ ჩაიტაბარებენ ქართველი გულმანი გულშემატკივარი! და თან ხომ უმადურებიც არ ვიქნებით იმ მარადმწვანე ბიჭების წინაშე!

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, არ მეთანხმებით, რომ ფკ მრეტები კი არა, სფფ გახლავთ შესაცვლელი?

დიახ, ის ფაქტი, რომ სფფ-ს სრულუფლებიანი წევრი კლუბის ფკ მრეტების მიერ სფფ-ში დაფუძნებული კანონიერი მოთხოვნები წლების განმავლობაში არ სრულდება, *არის ქართულ ფეხბურთში არაკანონიერის და ამორალურის საბოლოო დამკვიდრების მცდელობა სფფ-ს მიერ.*

დიახ, საბოლოო, რადგან სფფ-ს უპირველესმა ფუნქციონერებმა მიაღწიეს:

რომ დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე, ქართულ ფეხბურთში პროფესიული კანონიერების დამკვიდრების მცდელობისთვის ფკ მრეტები თითქმის მიწასთან (ანუ ტივთან) გაასწორეს! დიახ, *თითქმის,* სულ მთლად არა, რადგან დრო და დრო იგი საპირწონედ სჭირდებათ! ზოგჯერ, მოსაფერებლადაც, რათა ახალმა თაობამ თქვას, ნახეთ, აქ კი მართალი ყოფილა სფფ-ო!

რომ ქართული საფეხბურთო სამყარო დუმილის ათწლეულში ჩასვეს!

რომ მომავალ ათწლეულში თუ

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მეორე გვერდიდან)

მაინც ვეღირსეთ ხმის უფლებას, უკვე დღესვე ჩანს, სულ „დინამო, დინამო“-ს ფერისით გავუყვებით „დინამო“-ს სტადიონისკენ!

(სულაც ახალი თაობისთვის დაძენ, იყო დრო, როცა მთელი საქართველო „დინამოსთვის“ იღწოდა — აი, საიდან არის ის საქართველოს უპირველესი კლუბი! ახლა, საბედნიეროდ, უკეთესი შესაძლებლობების დღე გაგვითენდა და „დინამომ“ კვლავ ინებოს და შეირიგოს საერთაშორისო პროფესიული წეს-კანონების მიხედვით მოიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონ გურამ ქავთარაძესთან მივალთ და არა ბატონ ირაკლი ქავთარაძესთან. საინტერესოა, ახალი თაობა რას ამბობს, უკან არის ქართული ფეხბურთის მომავალი?)

დიდად პატივცემულო ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ეს გახლავთ ფრიად სამწუხარო რეალობა და არა გამოწვევა. მით უმეტეს, ფჯ მრეტები ყოველთვის აფასებდა საკითხთან დაკავშირებით თქვენს სამართლიან პოზიციას.

გთხოვთ, საკითხთან დაკავშირებით და სულ რამდენიმე წინადადებით, სფფს კომიტეტებს ამოწურებული სფფ-ს წეს-ჩვეულებრიობის მოქმედებას გადავხედოთ *(11.07.1992 ტრანსფერის და სფფ-ს 2.01.1997 დადგენილების საპართლებრივი ასპექტების საბოლოო განხილვა ფჯ მრეტების 25.07.1998 წერილშია მოცემული).*

„საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ფიფა-ს აღმასკომი მიიღებს“-ო. ბრძანებთ თქვენ. რეზონანსი, 5.08.1998 რატომ ფიფა-ს აღმასკომი? რა გვინდოდა ფიფა-ში?!

ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ იყო ვალდებული გადაეწყვიტა საკითხი და გადაწყვიტა კიდეც თავისი 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებით (სფფ-ს მხრიდან ამ პერიოდში ჩვენს საწინააღმდეგო დარღვევებზე ამჯერად არაფერს ვიტყვით).

ფიფა-სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, ფჯ დინამო, როგორც სფფ-ს წევრი კლუბი, ვალდებული იყო შეესრულებინა სფფ-ს 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებები.

ფჯ დინამომ არ შეასრულა სფფ-ს 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებები. ამასთან, ფიფა — სფფ-ს წეს-კანონების შესაბამისად, საკითხი ფიფა-ში კი არ გადაიტანა, ისე როგორც ფჯ მრეტებმა გააკეთა ეს, არამედ უარი განაცხადა დამორჩილებოდა სფფ-ს და 1.09.1997 დადგენილების მე-4 მუხლის გაფრთხილების მიუხედავად, საკითხი სამოქალაქო სასამართლოში გადაიტანა.

ფიფა-სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა, ხაზს ვუსვამთ — სფფ-ს ხელმძღვანელობა, ვალდებული იყო შეესრულებინა სფფ-ს აღმასკომის 1.09.1997 დადგენილება, რომლის მეორე მუხლის თანახმად მას ფჯ დინამო ავტომატურად უნდა გადაეცანა მეორე ჯგუფში.

ფიფა-სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო უახლოესი აღმასკომისთვის მოეხსენებინა აღმასკომის 1.09.1997 დადგენილების მეორე მუხლის შესრულების შესახებ და ეთხოვა აღმასკომისთვის, რათა მას, თავისივე 1.09.1997 დადგენილების მესამე მუხლის თანახმად, ახალი ვადები დაეწესებინა ფჯ დინამოსთვის თანხების გადასახდელად.

ფიფა-სფფ-ს წეს-კანონების თანახმად, სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო მოეხსენებინა აღმასკომისათვის, რომ ფჯ დინამომ უარი განაცხადა დამორჩილებოდა სფფ-ს ეცნობებინა მისთვის ფჯ დინამოს მიერ საკითხის სამოქალაქო სასამართლოში გადატანის შესახებ და ეთხოვა აღმასკომისათვის, რომ მას, თავისივე 1.09.1997 დადგენილების მეოთხე მუხლის თანახმად, ფჯ დინამოს მიმართ მიეღო „შესაბამისი დისციპლინარული სანქციები“.

სფფ-ში ხომ არის გენერალური საბჭო? და თუ გენერალურმა მდივანმა უარი განაცხადა შეესრულებინა აღმასკომის დადგენილება, სად იყვნენ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი და სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი?

და თუ საერთოდ სფფ-ს მთელი ხელმძღვანელობა აცხადებს უარს თავიანთი მოვალეობის ანუ აღმასკომის დადგენილების შესრულებაზე, ასეთ შემთხვევაში ფჯ მრეტები, როგორც სფფ-ს სრულუფლებიანი წევრი და უფლებამოსილი პირი, სფფ-ს აღმასკომის წინაშე დაყენებს საკითხს, სფფ-ს ყველა ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეჩერებისა და, შესაბამისად, სფფ-ს ხელმძღვანელობითი ფუნქციების აღმასკომის მიერ თავისთავზე აღების შესახებ, სფფ-ს უახლოეს ყრილობამდე.

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, სფფ-ს ხელმძღვანელობას დარჩა ერთადერთი ალტერნატივა, განაცხადოს:

„სფფ-ს ხელმძღვანელობამ, ფიფა-ს მიერ დაწესებულ ვადაში მოიწვია სფფ-ს აღმასკომის სხდომა (8.05.1998), რომელსაც ფჯ დინამომ განუცხადა, რომ მათ გააჩნიათ ახალი იურიდიული დოკუმენტები და თხოვა აღმასკომს, რომ მან მხარი დაუჭიროს ფჯ დინამოს, რათა ეს საბუთები წარმოადგინონ და შემდეგ გადაავზავნონ ფიფა-ში. სფფ-ს აღმასკომმა ნება დართო ფჯ დინამოს, რომ მათ ეს საბუთები სასწრაფოდ წარუდგინონ სფფ-ს იურიდიულ კომისიას.“ (სიტყვა-სიტყვით ასე იყო).

მაგრამ ასეთი განცხადება შექმნის პროფესიული კანონმდებლობის ელ-რღვევათა მთელ ჯაჭვს:

სფფ-ს წეს-ბამისი რეგლამენტი-ს თანახმად, სფფ-ს საგანგებო კომიტეტის 1.09.1997 დადგენილება, რომლის მეორე მუხლის თანახმად მას ფჯ დინამო ავტომატურად უნდა გადაეცანა მეორე ჯგუფში.

სფფ-ს საგანგებო კომიტეტს ირჩევს სფფ-ს აღმასკომი სწორედ სფფ-ს აღმასკომში აპელაციის შემთხვევაში და ***იგი ეროვნული მასშტაბით საბოლოოა!*** ეს ერთი. მითუმეტეს, 1997 წლის 1 სექტემბრის დადგენილების აპელაციის ვადა 1998 წლის 5 მაისისათვის დიდი ხნის ამოწურული იყო! ***ეს უკვე მეორე დარღვევაა.*** და სფფ-ს აღმასკომში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი წევრი, ვინც სფფ-ს აღმასკომში აპელაციის პროცედურის შესახებ იცოდა?! ***ეს უკვე მესამე.*** მითუმეტეს, აპელაციის საკითხი მხოლოდ გენერალური სამდივნოს საშუალებით გადის აღმასკომზე და გენერალური მდივანი ვალდებული იყო უარი ეთქვა აპელაციაზე! ***ეს მეოთხე.*** და თუ გენერალურმა სამდივნომ დაარღვია წეს-კანონები, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი სად იყვნენ? ***ეს მეხუთე.***

მით უმეტეს ამ დროს სფფ-ს ხელმძღვანელობა-აღმასკომისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ფჯ დინამომ *სასამართლოში უჩივლა ფჯ მრეტებს და სფფ-ს 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტის ბათილად ცნობისა და სფფ-ს 2.01.1998 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით!* და სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო... ***ესეც მეექვსე.*** და აქ უკვე ჭრილზე გავდივართ, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო.

ახლა კი ვიკითხოთ: რატომ გვაძინებს ფიფა-ს აღმასკომი?

სფფ-მ შეასრულოს ფჯ მრეტების 25.07.1998 წერილში დაყენებული კანონიერი მოთხოვნები და ფიფა-ს აღმასკომშიც ყველაფერი წესრიგში იქნება.

იქნებ რაიმე არაკანონიერს ხედავთ ამ მოთხოვნებში? ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე დაუყოვნებლივ და საჯაროდ დაგვისაბუთოთ ეს. მითუმეტეს, თქვენ სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიხსენიებით და აი, მშვენიერი შესაძლებლობა გეძლევათ მთელი საფეხბურთო საქართველო დააჯეროთ, რომ თქვენ ღირსეული პრეზიდენტი იქნებით.

მით უმეტეს, რომ ფჯ დინამოს „საბუთებში ხელმოსაკიდი არაფერი ჩანს“ (თქვენი ინტერვიუდან 11X11 (08.06.1998). ....„არც იქნება“ და „არც შეიძლება რომ არსებობდეს“.

და ბოლოს, თუ საკითხი სასწრაფოდ არ მოგვარდება, სფფ-ს და ფჯ დინამოს საკითხს მართლაც ფიფა-ს აღმასკომის სექტემბრის სხდომა განიხილავს და ქართული ფეხბურთი კიდევ ერთი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება!

ასეთ შემთხვევაში, პირადად მე არ დამრჩება სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ თავად მივმართო აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიის, იმერეთის, ქართლის, კახეთის, შესხეთ-ჯავახეთის კლუბებს!

მით უმეტეს, 1994 წლის გაზაფხულზე, სფფ-სთან კლუბების შეხვედრაზე (31-ე ქარხნის კლუბი), მე ამ კლუბებს სიტყვა მივეცი. აი ჩემი სიტყვა (სიტყვა-სიტყვით):

— ფედერაციისთვის მრეტებზე მეტი სათქმელ-სასაყვედურო ვის გაქვთ? მაგრამ დღეისათვის და ასე მოუმზადებლად არ უნდა დანაშნულიყო ეს შეხვედრა. მით უმეტეს, დღეს თასის თამაშია რუსთავში და ცოტა ხანში მთელი ფედერაცია ამ თამაშზე წავლენ... პირადად მე კი ხვალ-ზეგ გერმანიაში მივდივარ კლუბის საქმეზე. ***ჩემი წინადადება ასეთია:*** სიტყვას გაძლევთ, დავბრუნდები გერმანიიდან და სადმე წყარ ადგილას პატარა ***პურ-ღვინოზე*** დავპატიჟებთ. ჯერ მხოლოდ კლუბებს დავპატიჟებთ, სფფ-ს გარეშე. ჰოდა დავსხდეთ, ჯერ თავად კლუბებმა გადავწყვიტოთ ლამაზად, რა და როგორ გვიჯობს, აუცილებლად ერთ აზრზე ჩამოვალიბდეთ და მაგრად დავდგეთ, თორემ დაგვშლიან და მოგვერევიან. შემდეგ სფფ მოვიწვიოთ პატარა ***პურ-მარილზე*** და მარილით გამასპინძლება ჩემს ანგარიშზე იყოს...

— (ადგილებიდან) კეთილი, მაგრამ რომ არ მოვიდნენ? დღეს ძლივს მოვიყვანეთ! შენი სიტყვის მერე რაღას მოვლენ!

— მე გაძლევთ გარანტიას, რომ მოვლენ!

შევთანხმდით და სხდომა გადავდეთ, ხოლო რამდენიმე დღეში მე გერმანიაში წავედი და... ცოტა დამივიანდა სიტყვის შესრულება, მაგრამ დღემდე მელოდებიან!

ჰოდა, თუ საჭირო გახდა, კლუბები მარტო ***პურ-მარილს*** არ დავპურდებით, ბართან ერთად მთასაც მივმართავთ და მთას, ხომ იცით, ბარივით ბევრი მიეთ-მოეთი არ უყვარს, კაფიას არ დაგიგვიანებთ:

იქნების გნებავთ, ბატონო,
„დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჯრელი კარისა“,
თბილისში გადაგვასახლოთ,
გავხდეთ დინამოს გვარისა...

სხვა ვცადოთ, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ვით ბრძენთა წესია, ძაღლის კუდის გაწორება ვცადოთ! ესეც ხომ პოლიტიკა არ არის, დიდი ერების წმენის გამო გვეჯირდეს! მით უმეტეს, ნაძეტნავად დიდი დაცვა გვუყვს — ფიფა! ყოველდღიურად ვცადოთ, საერთაშორისო ასოციაციების დარად — დახვენების დღეებშიც ვცადოთ, პიროფლიანად და საერთაშორისო პროფესიული კანონების შესაბამისად ვცადოთ...

თუ ხვალაც უსაძირკვლო-ჩამოქცეული „ეროვნული ფედერაცია“ უნდა გვქონდეს?

პატივისცემით
ფჯ მრეტების ხელმძღვანელობის სახელით,
ფჯ მრეტების პარტნიორთა საბჭოს სახელით,

ვაჟა ჩხაიძე
პრეზიდენტი,
პარტნიორთა საბჭოს წევრი

კვიცი გვყავს ხტის — დარასელია-უმცროსი საუკეთესო იყო

„ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი კიევიდან:

18 აგვისტო. კიევი. „დინამოს“ სტადიონი. 9000 მაყურებელი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: უკრაინა-საქართველო (ახალგაზრდული ნაკრებები) 1-1 (0-1)

უკრაინა: **პერხუნი (ოსტაპენკო), ოლექსეენკო (სტადენკო), სიზონი (პერშინი), ნაზაროვი (ბალიცკი), მიტროფანოვი, კოტოვი, ონიშენკო (ჩერინიაკი), ვოროზეი (კოლჩინი), ზუბოვი (დრანოვი), კოსირინი, ვენგლინსკი.**

საქართველო: **სოღოლაშვილი, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითიძე, მუჯირი (გ. უიფიანი), გემეზაშვილი (შენგელია), კვარაცხელია, ალექსიძე, დარასელია (მელქაძე), აშვეთია (ჩხეტიანი), ჯაკობია (შენთიაშვილი).**

გოლები: **0-1 დარასელია (33), 1-1 კოლჩინი (74).**

გაფრთხილეს: **მუჯირი, ჩხეტიანი.**

ამ მატჩში ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ — პირველში მასპინძელთა ნახევარზე ქართველი ახალგაზრდები დომინირებდნენ, რომელთა რიგებში გააზრებული თამაშით გამოირჩეოდნენ ნახევარმცველები დარასელია და მუჯირი, თავდამსხმელი აშვეთია. განსაკუთრებით მინდა გამოვყო დარასელიას მზარდი ოსტატობა. რაც კიევის არმიელთა გუნდში გადავიდა, იგი დღითი დღე უმატებს თამაშს — მამასავით უბადლო ტექნიკა, შრომისუნარიანობა, ბრძოლის ჟინი. თუ ასე გააგრძელა, ერთ-ორ წელიწადში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მისი სახით დიდებული ნახევარმცველი შეემატება. სხვათა შორის, სტადიონზე მოსულმა უკრაინელმა ჟურნალისტებმა ისიც მითხრეს, დარასელიას რა ხანია ბელგიის კლუბები „ანდერლეხტი“ და „სტანდარდი“ ეპატიჟებიანო.

როგორც აღვნიშნე, მატჩის პირველი ნახევარი ქართველთა უპირატესობით წარიმართა. პირველი სახიფათო მომენტი 22-ე წუთზე შეიქმნა, როცა ჯაკობია მეკარე პერხუნთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ დააყოვნა დარტყმა და მასპინძელთა მცველებმა მას ბურთი აართვეს. რამდენიმეჯერ შორიდან სახიფათოდ დაარტყა მუჯირმა. ტაიმის დასრულებამდე 12 წუთით ადრე ქართველთა უპირატესობამ შედეგი გამოიღო — აშვეთია მარჯვენა ფლანგზე გასცდა ნაზაროვს და სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმო მოედანში. უკრაინელმა ცენტრალურმა მცველებმა პოზიციური შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა დარასელიამ და ოსტატური დარტყმით აიღო მასპინძელთა კარი. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ქართველ ახალგაზრდებს ფაქტობრივად პერხუნის და შემდეგ მის შემცვლელ ოსტაპენკოს კართან სახიფათო მომენტი აღარ შეუქმნიათ. პირველი ტაიმის ბოლო წუთებში თამაში გათანაბრდა, ხოლო მეორე ნახევარში სტუმრები „დადგნენ“. ფიზიკურად გაცილებით უკეთ მომზადებულმა უკრაინელებმა ლამის ოთხჯერ ვერ გამოიყენეს ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა. უმატეს თუ არა ტემპს, მასპინძელთა თავდამსხმელებმა „შავი დღე“ აუარეს ქართველ მცველებს. ამიტომ არავის გაჰკვირვებია ანგარიშის გაქვითვა. უველაფერი ლოგიკურად წარიმართა: საფინალო სასტვენამდე 16 წუთით ადრე მასპინძლებმა მორიგი კუთხური ჩამოაწოდეს და შეცვლაზე შემოსულმა ტანმაღალმა კოლჩინმა უზადო თავურით სოღოლაშვილს აუღებელი ბურთი გაუტანა. საბოლოოდ ფრე, 1-1.

მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაინც მან უკრაინელი ჟურნალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ ფრე ლოგიკურ შედეგად მიიჩნია. მან კვლავ ხაზი გაუსვა ქართველი ფეხბურთელების განუკურნებელ სენს — სუსტ ფიზიკურ მომზადებას: „უოველივე მოწმობს, რომ ქართველი საკლუბო მწვრთნელები ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებაზე“. რაც შეეხება უკრაინელი ახალგაზრდების მთავარ მწვრთნელ ვიქტორ კოლოტოვს, მან მაღალი შეფასება მისცა სტუმრების ტექნიკურ მომზადებას და სინანული გამოთქვა, რომ თავის დროზე დარასელია-ასნაირი ფეხბურთელი ხელიდან გაუშვეს — ქართველებმა დაგვასწრეს და იგი, ფაქტობრივად, ხელიდან გამოგვტაცესო.

19 აგვისტო, 1998 წ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კლინსმანი

ბროლინს კლისმანმაც მიჰბაძა – ნახვამდის, იურგენ!

სულ ახლახან მოგაწოდეთ ცნობა, რომ შვედი ***თომას ბროლინი*** აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას ემშვიდობებაო. ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა აგრეთვე სახელგანთქმულმა გერმანელმა ფორვარდმა, 34 წლის ***იურგენ კლინსმანმა.*** სადაც არ უთამაშია ნიჭიერ ფეხბურთელს (მიუნხენის „ბაიერნი“, გენუის „სამპდორია“, მილანის „ინტერი“, ლონდონის „ტოტენჰემი“, გერმანიის ეროვნული ნაკრები), ყველგან წარუშლელი ნათელი კვალი დატოვა. სხვათა შორის, საყურადღებოა კლინსმანის ერთ-ერთი მიღწევა – მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში გატანილი აქვს 12 გოლი, რაც ფეხბურთის ისტორიაში მეოთხე მაჩვენებელია.

გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, კლინსმანი ასე ხსნის თავის გადაწყვეტილებას: „ფეხბურთის თამაში და ლამაზი გოლების გატანა ჩემთვის ყოველთვის უდიდესი სიამოვნება იყო, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მყავს ოჯახი და მთელი ყურადღება და ძალ-ღონე მას უნდა მოვახმარო.

მანდელას როგორ ჩამოვრჩეო, იფიქრა ლუჭკოვმა და...

სულ ახლახან ვიტყობინებოდით, ნელსონ მანდელას დიდი მოწადინებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ამ ქვეყანაში „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობაზე. თხა თხაზე ნაკლებია — რუსებმაც იგივე მოიწადინეს, ოღონდ, ეს ამბავი, ალბათ, ცოტა მოგვიანებით მოხდება, დაახლოებით 2001 წელს.

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ დაიწყება გრანდიოზული გეგმის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს დიდი პრიზების ჩასატარებლად საჭირო თანამედროვე ავტოდრომების მშენებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება დაახლოებით მილიარდამდე დოლარი დაჯდება. განზრახულია არა მარტო ავტოდრომის მშენებლობა, არამედ მთელი ინფრასტრუქტურის შექმნაც, რაც „ფორმულა-1“-ის რბოლას დასჭირდება (სასტუმროები ტრასის სიახლოვეს, მცირე აეროდრომის აშენება, მისასვლელი გზების გაყვანა და ა.შ.)

გამოცხადდა, რომ პროექტის განხორციელებას უხელმძღვანელებს მერიის კაბინეტის სპორტის საქმეთა მრჩეველი, პრეზიდენტ ელცინის მიერ შერისხული შამილ ტარპიშევი. მან ორშაბათს სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ტრასის მშენებლობა შეივდა მოსკოვის განვითარების გეგმაში და მისთვის სპეციალური ხარჯთაღრიცხვაა შედგენილი. თურმე, რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ („გაზპრომი“, „ლუკოილი“) მზადყოფნა გამოთქვა ფინანსურად დაეხმარონ მოსკოვის მერიას. პრესკონფერენციაზე ისიც გაცხადდა, რომ ტარპიშევს, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრს, მტკიცედ განუზრახავს „ფორმულა“-1-ის მასპინძლობის გარდა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მეორედ მიღებაც არგუნოს მოსკოვს.

ძმები დე ბურები დილემის წინაშე

„რეალისა“ და „ბარსელონას“ საფეხბურთო კლუბები, მათი პრეზიდენტები ლორენსო სანსი და ხოსეპ ლუის ნუნიესი, „მონტექებისა“ და „კაპულეტებისა“ არ იყოს, პათოლოგიურად ვერ იტანენ ერთმანეთს. ანტაგონიზმი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ჰოლანდიელმა ტყუპებმა რონალდ და ფრენკ დე ბურებმა გადაწყვიტეს დატოვონ ამსტერდამის „აიაქსი“. რომელ კლუბს უმიზნებენ ისინი?

როგორც წესი, სანსისა და ნუნიესის ურთიერთობა გახურებულ საფეხბურთო სეზონში მწვავდება. არავის ახსოვს, რომ აგვისტოში, ე. წ. მკვდარი სეზონის თვეში, ისინი ერთმანეთს წაკიდებოდნენ. ამჯერად ტრადიცია დაირღვა და კონფლიქტის კატალიზატორად სწორედ ძმები დე ბურები არიან. საქმე იქითკენ მიდის, რომ ჰოლანდიელები არც ერთ მეფოს, არც კატალონურ კლუბს ერგებათ, თუმცა გავრცელდა ხმები, მადრიდელებმა მხოლოდ იმისათვის, რომ პირველად სწორედ მათთან ჰქონდეთ მოლაპარაკება, დე ბურებს მილიარდი პესეტი გადაუხადეს.

ეს რომ შეიტყო „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ნუნიესმა, იგი ესპანეთის ტელევიზიით თავს დაესხა ლანს – სადა აქვს ამდენი ფული ჯიბეგახვრეტილ მადრიდელს, ჰოლანდიელები რომ გადაიბიროსო?

როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდელი კლუბის მეპატრონემ საკადრისი პასუხი გასცა მეტოქეს: „ნუნიესისთვის მთავარი ფულია, ჩვენ კი პირველ პლანზე ადამიანურ ურთიერთობებს ვაყენებთ. დე ბურებმა იციან, რომ მწვრთნელად ბრწყინვალე სპეციალისტი გუს ჰიდინკი გვყავს, რომელიც თავისი კვალიფიკაციით გაცილებით სჯობია ლუის ვან გაალს, ამიტომ ძმები აუცილებლად მადრიდს მიაშურებენ.

სამოციანელები

საქმით დაფასებული შეგირდთა ოსტაბი

მართალი გითხრათ, მასთან ერთად სიარული რუსთაველზე ერთობ უხერხულია, ამ მუდამ ღიმილიან კაცს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებიან ნაცნობ-მეგობრები. ზოგი ძველი თანაგუნდელია, ზოგი – კოლეგა, მწვრთნელი, ზოგი – მოწაფე, ზოგი...

– ჯემალ ბატონო, საიდან უფრო გიცნობს ამდენი ხალხი – ფეხბურთიდან თუ მილიცია-პოლიციიდან?

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ისე როგორც ფეხბურთში, მთელი მეოთხედი საუკუნე გავატარე. ასე რომ, ეტყობა, ორივედან ერთნაირად მიცნობენ....

ძველი „გალავინსკელია“, როგორც თავად ამბობს. გრიბოედოვის 20 ნომერში დაიბადა ამ 58 წლის წინათ. დღესაც იქ ცხოვრობს ძველ სახლში, ვარგა მოზრდილი ეზო რომ აქვს.

– ეს იყო ჩემი პირველი „სტადიონი“ – ეღიმება ჯემალს – მერე, თანდათანობით ქუჩასა და უბანს გავეჩვიე. ეზო-ეზოზე ვთამაშობდით ფეხბურთს, ქუჩა – ქუჩაზე.

შორიახლო ტყავის ბურთის ცნობილი სპეციალისტი, ჩეხი ანტუს გონელი ცხოვრობდა. ძალიან უყვარდა ბავშვები. ხშირ-ხშირად შეკრებდა ხოლმე ნორჩებს და სხვადასხვა ტურნირებში გამოჰყავდა. ცხადია, არც 7 წლის ჯემალ გაბისონია გამორჩენია.

– ჩემი საფეხბურთო კერპები იყვნენ ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ ელოშვილი, ყველაზე მეტად კი ავთანდილ ჭკუასელი. საქმე ისაა, რომ ისიც პირველ სკოლაში სწავლობდა, ჩემს უფროს ძმასთან ნოდართან ერთად. ძალიან მეგობრობდნენ, ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მე უფეხბურთოდ თავი უკვე ვერ წარმომედგინა. ბატონ ანტუს გონელს ხშირად ავყავდით ბიჭები ოქროყანის სტადიონზე, ვაკის ფეხბურთის მინდვრების მუდმივი სტუმრები ვიყავით. სკოლაში კი ჩემი ყველაზე საყვარელი „საგანი“... ფიზკულტურა იყო. სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ იმ 45 წუთმა მალე არ გაიაროს-მეთქი. ჩვენი სკოლის „ფიზრუკებზე“ – შალვა ფანცულიძესა და ოტო „ვასილევიჩ“ როგოვსკოიზე, თბილისში პირდაპირ ლეგენდები დადიოდა. მათ გაკვეთილებს აბა ვინ გააცდენდა?!.

13 წლისა იყო ჯემალი ბიძამისმა ჯონდო ფაილოძემ „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე რომ მიიყვანა გრიგოლ გაგუასთან. „ნორჩი დინამოელი“ სულ ერთი წლის გახსნილი იყო. გამოცდილმა ოსტატმა ახალბედა მცველს შეუქო სისწრაფე, ნახტომი და თავის სკოლაში ჩარიცხა. სხვათა შორის, მოგვიანებით ჯ. გაბისონია კინადამ მძლეოსნებმა გადაიბირეს. სიმაღლეში 175 სანტიმეტრზე ხტებოდა, 100 მეტრს კი 11,9 წამში გარბოდა. „ნორჩ დინამოელში“ ბევრმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი – მამულო იაშვილმა, როინ ტაბუცაძემ, მერაბ მაღრაძემ, კუკური ესვანჯიამ, ზაურ წუწუნავამ... მთაგან საუკეთესონი, მათ შორის ჯემალ გაბისონია, ცნობილმა სპეციალისტებმა ასირ გალპერინმა და გიორგი ბაქანიძემ ახლად დაარსებულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაში მიიწვიეს. უძნელდებოდა ჯემალს საყვარელ მწვრთნელებთან – გრიგოლ გაგუასთან, ვიქტორ პანიუკოვთან, ვიქტორ ბერეჟნოისთან, ომარ უშვერიძესთან განშორება და აკი მოგვიანებით დაბრუნდა კიდეც მათთან, ამჯერად თავადაც როგორც მწვრთნელი.

თბილისის „ნორჩი დინამოელი“ 1970 წელს. მარჯვნივ – მწვრთნელი ჯემალ გაბისონია

1961 წელს დაამთავრა მწვრთნელთა სამწლიანი სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ გიორგი ბაქანიძე და ასტურ გუკასიანი. მასთან ერთად აქ სწავლობდნენ ძმები ჯუმბერ და სოსო თანანაშვილები, ანზორ აბულაშვილი, რომლებიც ფეხბურთის ჩინებული სპეციალისტები გახდნენ. ჯემალმა საბუთები ფიზკულტურის ინსტიტუტში შეიტანა, ცხადია, ფეხბურთის სპეციალობაზე. კარგი გუნდი „შეკრა“ მწვრთნელმა კოტე მესხმა სტუდენტებისაგან. საქართველოს ჩემპიონატში გამოდიოდნენ მეტწილად, პირველ სამეულში ხვდებოდნენ..1963 წელს მათმა გუნდმა კრასნოიარსკში საკავშირო ჩემპიონობა მოიპოვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ჯემალთან ერთად გუნდში თამაშობდნენ ფოთელები ზაურ კუჭავა და საშა ზამბახიძე, თბილისელი გია შავდია, სამტრედიელი დემურ მიქაძე (მერე პოლიციის გენერალ-მაიორი რომ გახდა). სწორედ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში დაიწყო ჯ. გაბისონიამ მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე მწვრთნელად მშობლიურ „ნორჩ დინამოელში“. ჯერ უმცროსი ასაკის ბიჭები ჩააბარეს, მერე – საშუალო, ბოლოს კი – უფროსებიც. ჯ. გაბისონიას ხელმძღვანელობით მისმა გუნდებმა რამდენიმე რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირი მოიგეს. ჯემალის აღზრდილები სხვადასხვა დროს თამაშობდნენ „სიჭაბუკის თასისა“ და „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშებაზე გამარჯვებულ საქართველოს ნაკრებ გუნდებში. ახლა იგი სიყვარულით იგონებს აგრეთვე თავის, ეგრეთ წოდებულ, ქუჩის გუნდს „დიდუბეს“, რომელმაც 1968 წელს ჯერ თბილისის პირველობა მოიპოვა, მერე საქართველოს ჩემპიონი გახდა და გომელის საკავშირო ტურნირში გამოსვლის უფლება მიიღო.

– სამწუხაროდ, ბელორუსიის ამ ქალაქში ვერ გავემგზავრეთ ჩვენში ქოლერის ეპიდემიის გამო. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ადგილს არავის დავუთმობდით, მართლაც კარგად იყვნენ მომზადებული და საბრძოლველად შემართულნი ჩვენი ბიჭები.

საინტერესოა გავიხსენოთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ჯემალ გაბისონიას მიერ აღზრდილი ფეხბურთელები, რომელთაგან სამი ათეული სპორტის ოსტატია: დავით მუჯირი, გოჩა ტყებუჩავა, თენგიზ მოსეშვილი, თენგიზ პერტენავა, მერაბ გიგინეიშვილი, ალექსანდრე დუდა, ალექსანდრ დოროხოვი – უმცროსი, ამირან კვირკველია, ედუარდ მაზნიაშვილი, გია ჯოჯუა, მალხაზ კანთელაძე, იური მელაძე...

– მიხარია, რომ ყველანი ღირსეული მოქალაქენი გახდნენ, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები: ექიმები – პალიკო კასრაძე (იგი თერაპევტია, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია ექიმთა შორის ფეხბურთში) და უჩა კიკუაშვილი (პირველი საავადმყოფოს ქირურგი), მრეწველობის დარგის ცნობილი სპეციალისტი თამაზ დიასამიძე, ინჟინერი გია ცხაკაია (მუშაობს ქალაქის მერიაში), ჟურნალისტები თენგიზ სულხანიშვილი და ზაზა კახაძე (ამჟამად მუშაობს პარლამენტში. საგულისხმოა, რომ ჯ. გაბისონიას მიერ აღზრდილები დღეს თავად მუშაობენ მწვრთნელებად: ნოდარ აკობია (ავარჯიშებს თბილისის „დინამოს“ მეკარეებს), ანზორ ლეჟავა (ხელმძღვანელობს თბილისის „შევარდენს“), ნოდარ თვაური (სათავეში უდგას „ვაკეს“), ნოდარ ჯინჭარაძე (ავარჯიშებს ქალთა გუნდს)...

პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ჯემალ გაბისონია შინაგან საქმეთა სამინისტროში წლების განმავლობაში ედგა სათავეში ფიზმომზადებას. ბევრი საუწყებო სპარტაკიადა თუ ტურნირი ჩაატარა, მოაწყო საინტერესო სპორტული საღამოები, შეხვედრები, სპორტული ნორმატივების ჩაბარებას ხელმძღვანელობდა პოლიციელთა შორის. იმ პერიოდში დაუსწრებლად მეორე უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ბოლო სამი წლის მანძილზე ჯ. გაბისონია მუშაობდა მთაწმინდის (მაშინდელი კალინინის რაიონის) შინაგან საქმეთა განყოფილების უფროს ინსპექტორად.

– ჩვენმა უფროსმა თემურ ჯიბლაძემ, ამ ძველმა სპორტსმენმა – წყალბურთელმა, უშუალოდ ქალაქის სპარტაკიადის წინ სპეციალურად „გადმოიბირა“ თავის განყოფილებაში ჯემალი, რათა ფეხბურთის გუნდი ჩამოეყალიბებინა – გვეუბნება მილიციის მაიორი თემურ დუდაშვილი – მე მაშინ გუნდის კაპიტნად ამირჩიეს. ექვსი თამაში მოვიგეთ ზედიზედ, ფინალში ჩვენი მთავარი სამმართველოს გუნდს შევხვდით. დაძაბული ბრძოლის პირველი ტაიმი მოვიგეთ 1-0, მაგრამ საბოლოოდ მაინც წავაგეთ 1-2. საქმე ისაა, რომ მეტოქეთა გუნდში გამოდიოდნენ ისეთი ოსტატები, როგორნიც იყვნენ დავით გოგია, ვახტანგ ჭელიძე, ზურაბ წერეთელი, მერაბ ასიტაშვილი და სხვა.

...ერთ რამეზე სწყდება გული ფეხბურთის სპეციალისტს ჯემალ გაბისონიას. რატომ არ უნდა თამაშობდეს ჩვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე, ნუთუ იგი მაროკოზე, ტუნისზე, იამაიკაზე, ნიგერიაზე და სხვებზე ნაკლებია. ანდა, დავუშვათ, ასეთი მათხოვრული გამარჯვება ალბანელებთან რომ მოვიპოვეთ, ეკადრება ქართულ ფეხბურთს? მურთაზ ხურცილავა ფეხბურთის ნამდვილი ფანატიკოსია, მაგრამ თუ მას ყველანი მხარში არ ამოვუდექით, ყველანაირად არ შევუწყეთ ხელი, ალბათ, ბოლოს იგი უცხოეთის გზას გაუდგება, როგორც გივი ნოდია (სანქტ-პეტერბურგში), რევაზ ძოძუაშვილი (რიგაში), დავით ყიფიანი (იაროსლავლში). ჩვენი ახალგაზრდული ფეხბურთიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია – ნორჩებს არა აქვთ სავარჯიშო ბურთები, ფორმა, ბუცები. მშობლები ვერ აუდიან მაისურ-ტრუსებისა და ბურთების ყიდვას. ალბათ, ამიტომ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები დღეს მეტწილად აგებენ პრესტიჟულ ტურნირებს, რომლებიც ადრე, გახსოვთ, „ნორჩ დინამოელთა“, 35-ელთა თუ „ფშმ“-ელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენში აღარ აშენებენ ფეხბურთის მოედნებს. მისასალმებელია ვაკელთა – კერძოდ ლევან ყიფიანის, გრიგოლ ცაავას, გია დოლიძის და სხვათა ინიციატივა, რომლებიც სტუდქალაქის ყოფილი სტადიონის (იქ ახლა, კერძო საცხოვრებელ სახლებს აშენებენ) სიახლოვეს მშვენიერ, ამერიკული ტიპის, მინისტადიონს (40X22 მეტრი) აშენებენ ხელოვნური „ბალახითა“ და გადახურვით, სამმხრივი ტრიბუნებით 500 მაყურებელზე. ბოლოს და ბოლოს, ამ პოპულარულ თამაშს ხომ... „ბურთი და მოედანი“ სჭირდება. და კიდევ, ცოტა მეტი მონდომება და სიყვარული.

ოთარ ნოზაძე

პლატინი: ეს ჩვენი გამარჯვებაც იყო

გაზეთ „ექიპის“ კორესპონდენტმა რიშარ პორემ რამდენიმე კითხვით მიმართა მიშელ პლატინის

● რა გრძნობა დაგეუფლათ მსოფლიო პირველობაზე გამარჯვების შემდეგ?

– უდიდესი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობა, არა მარტო, როგორც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეს, არამედ როგორც ეროვნული ნაკრების ყოფილ მოთამაშესაც.

● თქვენ, ფრანგული ფეხბურთის მთელი თაობის ლიდერმა, „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელმა, ამის მიღწევა ვერ შეძელით. ხომ არ იწვევს ეს დღეისათვის უკმაყოფილების გრძნობას?

– არავითარ შემთხვევაში! ვესაუბრე ჟან ტიგანას, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს მიაქცია ყურადღება. რომ ვთამაშობდით ფეხბურთს, წინა თაობის მხარდაჭერა არა გვქონია, ისინი, ვინც შვეიცარიაში თამაშობდა, ფეხბურთში თითქმის არ დარჩენილა, ჩვენ კი – ტიგანა, ჟირესი, ფერნანდესი და მე, დავრჩით და ბევრს ვაკეთებთ, რომ ჩვენმა მემკვიდრეებმა წარმატება მოიპოვონ, ისე რომ, ამ გამარჯვებაში ჩვენც შევიტანეთ წვლილი.

● ნაკრების მწვრთნელობა ალარ გსურთ?

– ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება.

● ხომ არ აჩქარდა ემე ქაკე, გადადგომა რომ მოისურვა?

– არა. ქაკემ ასე იფიქრა: „ჩემი საქმე გავაკეთე, ხუთწლიანმა მუშაობამ გამომფიტა. ახლა წასვლის დროა და ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მწვრთნელისთვის ოპტიმალური ვადაა 4-5 წელი.

● რას ფიქრობთ მასზე, მის მუშაობაზე?

– აღტაცებული ვარ ქაკეთი. მან ეს წარმატება დაიმსახურა. ასეთი მუშაობისათვის ძეგლი უნდა დაუდგან. მისი მდგომარეობა მძიმე იყო, თითქმის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მწარედ აკრიტიკებდნენ, ზოგჯერ კონსტრუქტიულად, ზოგჯერ კი ნაკლებ კონსტრუქტიულად. მან გაუძლო ამ ბრძოლას და საქმე ბოლომდე მიიყვანა. მადლობა ღმერთს, იგი ამ ბრძოლაში მარტო არ ყოფილა, მას გვერდში ედგნენ ადამიანები, რომლებიც ფრანგულ ფეხბურთს გულითადად უსურვებდნენ წარმატებას, ესმოდათ, რომ ქაკე თავის მუშაობაში კომპეტენტურია და შეუძლია გუნდი მწვერვალზე აიყვანოს.

● ახლა ფინალურ მატჩზე. მსოფლიო ჩემპიონის წოდება გარკვეულად თქვენც გკუთვნით, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორსა და კაცს, რომელმაც ბევრი გააკეთა ნაკრების გარშემო ძალების გასაერთიანებლად.

– უპირველეს ყოვლისა, ეს ქაკეს გამარჯვებაა, შემდეგ მოთამაშეების, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ფერნან სარტრის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენს ქვეყანაში ჩატარებისა და მთელი საორგანიზაციო მუშაობის სულისჩამდგმელი იყო.

● როგორ შეფასებას აძლევთ ახლანდელ ნაკრებს?

– მან ფინალურ მატჩში დაამტკიცა, რომ მთლიანი, დიდებულად ორგანიზებული და ტექნიკურად აღჭურვილი გუნდია. მას მშვენიერი მეკარე, მობილური და შრომისუნარიანი ნახევარდაცვა ჰყავს.

● სწორედ ამან გადაწყვიტა ფინალში წარმატება?

– დიახ, აგრეთვე სათამაშო სისტემამ, ფეხბურთელთა ნებისყოფამ და მტკიცე ხასიათმა. საფრანგეთის ნაკრებმა გადამწყვეტ მატჩში საუკეთესო ფეხბურთი გვიჩვენა, იგი შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობდა, ბრაზილიელები კი თამაშის საკუთარი მანერის ერთგული დარჩნენ, თუმცა რონალდოს პრობლემები შეექმნა. მას რომ სათანადო მზადყოფნა ჰქონოდა, შეიძლება ბრაზილიელების ტაქტიკა სწორიც კი გამომდგარიყო, მაგრამ, როცა ზაგალო იცოდა, რაც მოხდა, იგი, ჩემი აზრით, ვალდებული იყო თამაშის ხასიათი შეეცვალა.

● ფინალური მატჩის შემდეგ თქვენ ტრიბუნაზე რაღაც უთხარით ზიკოს.

– ვუთხარი, რომ მათ ოთხჯერ მოიგეს მსოფლიო თასი და ერთხელ მაინც ხომ უნდა დაეთმოთ ჩვენთვის.

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ იმ გამოცდილებამ, რომელიც ფრანგმა მოთამაშეებმა უცხოეთის კლუბებში მიიღეს, დადებითი როლი შეასრულა?

– აშკარად ასეა. დიდ კლუბებში თამაში ფეხბურთელებს თავისი ძალების რწმენას ჰმატებს, გამარჯვებულის სულისკვეთებით აღავსებს. საკმარისია დავთვალოთ, მსოფლიო ჩემპიონატის ოთხი უძლიერესი ნაკრების რამდენი მოთამაშე გამოდიოდა უცხოეთის სუპერკლუბებში, რომ ამ ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობა გახდეს გასათვალისწინებელი.

● თქვენ ისე, ოცნებით, გინდოდათ ამ ფრანგულ ნაკრებში გეთამაშათ?

– დიდ გუნდებში საკმარისად ბევრი ვითამაშე. გარდა ამისა, ამ ნაკრებში არის ფეხბურთელი, რომელიც ჩემზე უკეთ თამაშობს.

● ვინ?

– რა თქმა უნდა. მისმა ხელოვნებამ ბევრად განაპირობა წარმატება. ვფიქრობ, ჩემპიონატში გამარჯვებამ მის ფენომენურ ტალანტს ახალი განვითარებისაკენ უნდა უბიძგოს. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ზიდანი ფინალში გოლს ვერ გაიტანდა და საფრანგეთის ნაკრები დამარცხებოდა, იგი მაინც დიდ ფეხბურთელად დარჩებოდა.

● რამ დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

– აშშ – ირანის მატჩმა. ბერჩკამპის გოლმა, რომელიც მან არგენტინელებს გაუტანა, 80 ათასმა მაყურებელმა, თითქმის არაფრის გადამწყვეტ რუმინეთ-ტუნისის მატჩზე რომ მოვიდა, „პარკ დე პრენსის“ გადაჭედილმა ტრიბუნებმა მესამე ადგილისათვის მატჩში.

● ფეხბურთისადმი ასეთ განწყობილებას შემდეგ შიც შევინარჩუნებთ?

– ვნახოთ. მწამს, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც ადრე არ იყო დაინტერესებული ფეხბურთით და საერთოდ, სპორტით, ახლა ამ დიდებული თამაშის ერთგული გახდა. ზოგი ჩვენს სახეობას პლებეურად თვლის, რომელიც არაჯანსაღ ემოციებს იწვევს, ხულიგნობას რომ უწყობს ხელს. ახლა კი, იმის მიუხედავად, რომ პრობლემებს მაინც წავაწყდით, დარწმუნდნენ, რომ ფეხბურთი – ეს უპირველეს ყოვლისა, ზეიმია და ფრანგების დამოკიდებულება ფეხბურთისადმი რომ არ შეიცვალოს, აუცილებელია მათი ინტერესის შემდგომი განმტკიცება, ახალი გამარჯვებების ბედნიერების მოტანა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი კლუბების წარმატებით გამოსვლა ევროთასებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიც სიახლით დაიწყება

პირველი სექტემბრიდან მსოფლიო საკალათბურთო სამყარო ახალი წესებით იცხოვრებს

კალათბურთელ ვაჟთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ათენში გაიმართა ფიბა-ს XVI კონგრესი, რომელმაც გადაახალისა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს შემადგენლობა, და, რაც მთავარია, დაამტკიცა ცვლილებები თამაშის წესებში, რომელიც 1 სექტემბრიდან ამოქმედდება.

ფაქტობრივად, მსოფლიო კალათბურთში მთელი ძალაუფლება ფიბას გენერალური მდივნის იუგოსლავიელ ბორისლავ სტანკოვიჩის ხელშია თავმოყრილი. ბელგრადის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ამჟამად 73 წლისაა და 1976 წლიდან მუშაობს ამ საპასუხისმგებლო პოსტზე. და მან კვლავ შეინარჩუნა ეს თანამდებობა.

როგორც წესი, ფიბას პრეზიდენტს წარმომადგენლობითი ფუნქცია აკისრია, ამდენად, იგი დემოკრატიული ქვეყნის მონარქს უფრო ჰგავს. ახლა უკვე ყოფილი „მეფე“, ამერიკელი ჯორჯ კილიანი, რომელიც 1990 წლიდან „იჯდა ტახტზე“ შეცვალა 69 წლის სენეგალელმა შავკანიანმა აბდულა სეიე-მორომ. იგი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფიბას ვიცე-პრეზიდენტი იყო. ახლა კი თამაშის ახალი წესების შესახებ: მეორე ტაიმის ბოლო 2 წუთსა, აგრეთვე დამატებით „ოვერტაიმებში“ ბურთის კალათში მოხვედრისთანავე თამაშის დრო ჩერდება და საათი კვლავ ჩაირთვება, როცა პირითი ხაზიდან მიწოდებული ბურთს რომელიმე მოთამაშე შეეხება მოედანზე. მსგავსი წესი დიდი ხანია მოქმედებს ნბა-ში.

შემოღებულია, აგრეთვე ასეთი წესი: ვთქვათ, ერთ-ერთი მხარე თამაშის დამთავრებამდე 8 წამით ადრე სამი ქულითაა წინ. ამ დროს კი მეტოქემ ჩააგდო ორქულიანი, მინიმალური უპირატესობის შესანარჩუნებლად, რაკიდა თამაშის დამთავრებამდე 5 წამი და ნაკლები რჩება, დაწინაურებულს აღარ აქვს უფლება ბურთი ვერტიკალურად აისროლოს მაღლა და ამით დრო მოიგოს (ბურთის მაღლა აგდებაში 3 წამი გადის).

არის კიდევ ასეთი წესი, რომელსაც „არასპორტული ტექნიკური ჯარიმა ჰქვია, რომლითაც დაისჯება ისეთი მოქმედება, რომელსაც მოსდევდა „დაუმსახურებელი“ უპირატესობა. წესის დამრღვევი მოთამაშის გუნდისათვის სანქცია: ორი საჯარიმო სროლა და გუნდი ინარჩუნებს ბურთს და თამაშს განაახლებს მოედნის ცენტრალური ხაზიდან.

და კიდევ: მსაჯი სამწამიანი წესის დარღვევის ათვლას მაშინ იწყებს, როცა აუტიდან მოწოდებული ბურთი

ტრაპეციის ზონაში რომელიმე მოთამაშეს შეეხება.

ახალი წესები მწვრთნელებს თამაშის მეორე ნახევარში, ადრინდელ 2 წუთიშესვენებას ნაცვლად, სამის აღება შეუძლიათ. ადრე ორმხრივი წესის დარღვევისას ინიშნებოდა სადავო ბურთი. ამიერიდან მსგავს შემთხვევაში ბურთი მფლობელ მხარეს რჩება და იგი აუტიდან შემოაგდებს მას, ესე იგი, ინარჩუნებს ბურთზე კონტროლს. „სადავო“ ბურთი კი მაშინ ინიშნება, თუ მსაჯის შეხედულებით ორმხრივი ჯარიმის ფიქსაციის მომენტში „სიტუაცია იყო.



არნახული სკანდალი სერია „A“-ში, საქმეში პროკურატურა ჩაერია და, ალბათ, სასამართლოშიც გაირჩევა

მარადონასთან ინციდენტის შემდეგ სადოპინგო სკანდალები ფეხბურთს გვერდს უვლიდა და, ძირითადში, მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და ველოსპორტში „ჰყვაოდა“. როგორც ეტყობა, ახლა ტრადიცია დაირღვა და ფეხბურთშიც რაღაც-რაღაცებია გასარკვევი

ამბავი ზემანმა „გახეთქა“

რაც ჯერაზე საკვირველია, დოპინგის თემაზე სადღაც კი არა, ფეხბურთის სუპერქვეყანაში — იტალიაში ალაპარაკდნენ. მან მეორე პლანზე გადასწია ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორიცაა „სკუადრა აძურაში“ ახალი მწვრთნელის დინო ძოფის დებიუტი, აგრეთვე ახალი სეზონის წინ მოთამაშეთა ტრანსფერები.

ამბავი არა რომელიღაც მეორეხარისხოვანმა ბულვარულმა გაზეთმა გახმაურა, არამედ საფეხბურთო სამყაროში ძალიან ცნობილმა სპეციალისტმა, „რომას“ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, ჩეხმა ზდენეკ ზემანმა, რომელიც ალპინიზე ლამის 17 წელიწადია მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებითაც.

ამას წინათ, ზდენეკმა სენსაციური ინტერვიუ მისცა ჟურნალ-კვირეულ გაზეთ „L'Esptres-so“-ს და ამის შესახებ „ლელო“ იტყობინებოდა კიდეც — იტალიურ ფეხბურთში ფართოდ არის დანერგილი კანონით აკრძალული ჯგუფგვარი სამედიცინო პრეპარატის გამოყენება. „მექმნება შთაბეჭდილება — ამბობს ზემანი, — რომ ასეთი წამლების მიღება, რაც დრო გადის, სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. დატვირთვები ფეხბურთელებზე ისე იზრდება, უბრალოდ, აღარ შეუძლიათ უარი თქვან მათ მიღებაზე. მაგალითისათვის, შეხედეთ თუნდა „იუვენტუსის“ ორ ფეხბურთელს — მათ შორის ერთი, ამ გუნდის ჯოფილი წევრია — როგორი დაკუნთულები არიან. და ეს ყველაფერი მათ აკრძალული პრეპარატებით მოახერხეს“.

„ბებერი სინიორა“ ძალიან შეშფოთდა

ცხადია, ჯერ მიხვდა, რომ ლაპარაკია ჯანლუკა ვიალისა და ალესანდრო დელ პიეროზე. „იუვენტუსის“ ბანაკში პანიკამ დაისადგურა — ზემანის ბრალდება რომ დადასტურებულიყო, „ბებერი სინიორა“ კარგა ხნით გაქრებოდა სერია „A“-დან და არა მარტო იქიდან. კლუბის მესვეურებმა მყისვე მოიწვიეს პრესკონფერენცია, სადაც ტურინული კლუბის სამედიცინო სამსახურის უფროსმა რიკარდო აგრიკოლამ ზემანის მტკიცებებს „არასერიოზული და ფანტაზიის სფეროდან“ ამოკრეფილი ამდაუბდა უწოდა: „დიახ, ჩვენი მოთამაშეები მართლაც იღებენ ჯერანაირ ტონიზიურ საშუალებებს, მაგრამ ისინი კანონით ნებადართულია. არავითარი სადოპინგო პრეპარატებს იტალიურ ფეხბურთში არ ხმარობენ“ — თქვა აგრიკოლამ. „ბებერი სინიორას“ სხვა მუშაკებმაც ანალოგიური განცხადებები გააკეთეს. და მაინც...

„ტაშბი გატყდა, ხმა გავარდა“...

„ბებერი სინიორაც“, სხვა კლუბების წარმომადგენლებიც ბევრს ეცადნენ საქმე ჩაეფარცხათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ზემანის განცხადებით სერიოზულად დაინტერესდა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კომიტეტი, რომლის სხდომაზე გამოიძახეს ჩეხი მწვრთნელი. როგორც კი სხდომა დასრულდა, ზემანმა პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც თავისი პოზიცია დაიცვა: „მე მთხოვეს გამემეორებინა ჩემი განცხადებები. კვლავ ვიმეორებ: იტალიური ფეხბურთი უნდა განთავისუფლდეს ფარმაკოლოგიის ჩარევების და ფინანსური მაქინატორებისაგან. ფეხბურთის ჩინოსნებმა კიდევ ერთხელ უნდა გადახედონ აკრძალული საშუალებების ჩამონათვალს. თუ ადამიანი წამალს ავადმყოფობის განკურნებისათვის იღებს, ეს სხვაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საშუალებები დოპინგად უნდა ჩაითვალოს“.

პრესკონფერენციის მეორე დღესვე ზემანი გამოიძახა ტურინის პროკურორმა რაფაელე გვარინიელომ, რომელმაც სწორედ ადრინდელი სადოპინგო საქმეების განხილვით გაითქვა სახელი. ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ ჩეხმა სპეციალისტმა განაცხადა: „მე კვლავ დავადასტურე ჩემი ადრინდელი ჩვენები. ერთადერთი, რაც მამოძრავებს, ფეხბურთის სიყვარულია“.

როცა დარწმუნდა, რომ ზემანთან საერთო ენას ვერ გამონახავდა „იუვენტუსმა“ მძიმე არტილერია ჩართო საქმეში. აქამდე ჩუმად მყოფმა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თავის კოლეგას ლაჩარი უწოდა და მოითხოვა ჩეხის ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია“.

ვიალიმ ზემანს ტერორისტი უწოდა

როგორც იქნა, ალაპარაკდა ზემანის ბრალდების ერთ-ერთი სუბიექტი „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელი ჯანლუკა ვიალიც: „ვფიქრობ, ვიღაცას ძალიან უნდა „იუვენტუსის“ დისკრედიტაცია და ზემანი ამ ბნელი ძალების ჩანაფიქრის ერთ-ერთი შემსრულებელია. დიახ, ტურინულ კლუბში რომ ვთამაშობდი, პრეპარატებს ვიღებდი, მაგრამ ყველა აფთიაქში იყიდება ურეცეპტოდ. ნებადართული იყო და მეხმარებოდა ძალთა აღდგენაში და კარიერის გახანგრძლივებაში. „ჩელსიშიც“ იგივეს ვაგრძელებ. ზემანი ტერორისტია, რომელსაც ფეხბურთში დესტაბილიზაციის შეტანა სურს.

● *მაგრამ თქვენ ხომ მართლაც გარეგნულად ძლიერ შეიცვალეთ, როცა 27 წლის გახდით?*

— გეთანხმებით, ჩემი კუნთის მასა მაშინ 2-3 კილოგრამით გაიზარდა, ამაში არაფერია გასაკვირი. შეადარეთ, როგორები იყვნენ გულიტი, ვან ბასტენი ან რაიკაარდი ახალგაზრდობაში და როგორები გახდნენ „მილანში“. ყოველივე ეს სისტემატური ვარჯიშის წყალობით მოხდა. ვფიქრობ, ზემანი შურიანი კაცია, კლუბები, სადაც იგი მუშაობდა, ყოველთვის საშუალო დონისა იყო და, უბრალოდ, „იუვენტუსის“ შურს. როცა ტურინში ვთამაშობდი, არასოდეს მაძალებდნენ რაიმე პრეპარატი მიმეღო. ახლა კი, ზემანის ჩვენებების შემდეგ „იუვეს“ ექიმის სახელი დაუმსახურებლად შეიბღალა. აგრიკოლა ისეთი ფრთხილია, ასპირინსაც კი ზედმეტად არ გვაძლევდა.

იმედია, ყველაფერი გაირკვევა და ზემანი ცრუ ჩვენებისათვის საკადრისად დაისჯება. სამართლიანი იქნებოდა, რამდენიმე მილიონი ლირით თუ დააჯარიმებდნენ და ამ თანხას უპოვარ ხალხს დაურიგებდნენ“.

ასეთივე მოსაზრებები აქვს ზემანის ბრალდების სხვა სუბიექტს — დელ პიეროს, რომელიც ასევე დაიკითხა ტურინის პროკურატურის მიერ.

ამასობაში, ბოლონიის პროკურორმა ჯოვანი სპინოზამ დაიკითხა იტალიის ნაკრების სხვა მოთამაშეები — ენრიკო კიეზა და დინო ბაჯო. მათაც გადაჭრით უარყეს აკრძალული პრეპარატების მიღება.

საქმეში დეპუტატებიც და ფიფაც ჩაერია

„დოპინგის საქმით“ ძალიან სწრაფად დაინტერესდნენ ქვეყნის უმაღლესი ჩინოსნებიც. იტალიის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა გადაჭრით მოითხოვა სესიის მუშაობის დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი „იტალიურ ფეხბურთში დოპინგის მოხმარების შესახებ“. ამაზე სპორტის მინისტრმა ვალტერ ველტრონიმ განაცხადა, რომ უმჯობესია დაელოდონ გამოძიების დასრულებას. გაისმა სხვა წინადადებაც — გამოძიების დასრულებამდე გადაიტანონ ჩემპიონატის სტარტი, რომელიც ნავარაუდევია 13 სექტემბერს.

ცხადია, არც იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დარჩა განზე. მისმა პრეზიდენტმა ნიცოლამ გადაწყვიტა აღმასკომის სხდომაზე მიიღოს ანტიდოპინგური კონტროლის გაძლიერების ღონისძიებები. არც ფიფაა ამის წინააღმდეგი. მისმა პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა „ლა გაძეტა დელო სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გადაჭრით მოითხოვა ანტისადოპინგო ღონისძიებების გამკაცრება, თუმცა იქვე დაამატა: „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გზა გადავუღობოთ ფეხბურთში მეცნიერული პროგრესის შედეგად მიღწევების დანერგვას. ყველაფერი, რაც კანონით არაა აკრძალული, ნებადართულია“.

...ამასობაში სკანდალი სულ უფრო ღვივდება. რითი დამთავრდება ჯერჯერობით უცნობია, უნდა დაეურდნოს შემდეგ ფეხბურთელებს: ფაუსტინო, ასპრილიას, ხორხე ბერმუდესს, ხორხე ბოლანიოს, ლედეს პრესიადოს, აგრეთვე ნაიდერ მორანტესს, ოსმან ლოპესსა და სხვა ახალგაზრდებს, ვისაც საფრანგეთში არ უთამაშია.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კოლუმბიური ფეხბურთის კრიზისი აშკარაა

ასე ფიქრობს კოლუმბიის ნაკრების უოფილი მთავარი მწვრთნელი ერნან დარიო გომესი. მისი აზრით, საქმე ეხება მთლიანად ეროვნულ ფეხბურთს, და არა მარტო ნაკრებს, დიახ, ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვდა, მაგრამ იქ ნამდვილად ისე ვერ ითამაშა, როგორც 1990 და 1994 წლებში.

— ეს, რა თქმა უნდა, არ გვამართლებს, მაგრამ წინა ჩემპიონატებთან შედარებით შეიცვალა რეგლამენტი, მერვედფინალში მხოლოდ ორ-ორი ნაკრები გადიოდა, მაშინ, როცა ადრე, მესამე ადგილის მფლობელსაც ჰქონდა ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა.

— მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების გადამწყვეტ მომენტში კოლუმბიაში ნამდვილი ომი დაიწყო, ერთის მხრივ ეურნალისტებსა და მწვრთნელებს, მეორე მხრივ მწვრთნელებსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის. ფედერაციის პრეზიდენტი ალვარო ფინა და ბევრი მოხელე ერეოდა ჩვენს მუშაობაში, მაშინ, როცა ისინი არც გოლების გამტანები იყვნენ და არც მარცხის შემდეგ პასუხისმგებლები.

გომესმა აღიარა, რომ ნაკრებს გაახალგაზრდავება სჭირდება. უკვე ათი წელია არ შეცვლილა მოიერიშე ხაზევარმცველების წყვილი: ქარლოს ვალდერამა და ფრედი რინკონი. მსოფლიო პირველობაზე ისინი აშკარად ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეთა ნახევარმცველებს, უპირველეს ყოვლისა, დაყოვნებით, რაც ახლანდელი ფეხბურთისათვის სრულიად შეუფერებელია.

გომესმა განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელი, რომლის სახელი ჯერჯერობით უცნობია, უნდა დაეურდნოს შემდეგ ფეხბურთელებს: ფაუსტინო, ასპრილიას, ხორხე ბერმუდესს, ხორხე ბოლანიოს, ლედეს პრესიადოს, აგრეთვე ნაიდერ მორანტესს, ოსმან ლოპესსა და სხვა ახალგაზრდებს, ვისაც საფრანგეთში არ უთამაშია.

მარადონასაც კი წაეპოტინენ

დიდი ამბებიები აქვს ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ბადახოსს“, რომლის პატრონიც მეტად მდიდარი არგენტინელი კომიკოსი-მსახიობი მარსელო ტინელია. ჭერ იყო და ტინელიმ იყიდა არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ალე ტანდრო მანკუსო. ამის შემდეგ მან წამოიწყო „საუკუნის გარიგება“, დაუკავშირდა მარადონასა და მის აგენტს გლერმო კოპოლას. თუ „ბადახოსმა“ ეს გარიგება წარმატებით დაასრულა, მას იმედი აქვს, რომ ესპანეთის პირველ დივიზიონში შეაბიჯებს.

„სელტიკის“ დიდი იმედები

ამ სეზონში გლაზგოს „სელტიკი“ დიდ იმედებს ამყარებს ცნობილ სლოვაკ სპეციალისტ იოზეფ ვენგლოშზე, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის წარმატება 70-იან — 80-იან წლებში. საინტერესოა, რომ ალბიონზე სწორედ ვენგლოში იყო პირველი საზღვარგარეთელი მწვრთნელი. 1990 წელს იგი მიიწვიეს ბირმინგემის „ასტონ ვილაში““, მაგრამ მაშინ დიდი მარცხი განიცადა — კლუბი მე-17 ადგილზე გავიდა და ვენგლოშსაც მასთან გამოთხოვება მოუხდა.

ისე რომ, 8 წლის შემდეგ ვენგლოში კვლავ დიდ ბრიტანეთშია.

სიახლე

ესეც ბიატლონია. – ოლონდ, მშვილდით

საკმაოდ მოსალოდნელია, რომ 2006 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ბიატლონისტები გავიდნენ, რომლებიც შაშხანის ნაცვლად უძველეს იარაღს — მშვილდს ისვრიან.

ამას წინათ, ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში გამართულ ბიატლონისტთა საერთაშორისო კონგრესმა დაადგინა ხელი შეუწყოს მონათესავე სახეობის — მშვილდოსან-მოთხილამურეთა ასპარეზობის განვითარებას.

ივლისის ბოლოს კი, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტ, ნორვეგიელ ანდრეს ბესბერგმა სტოკჰოლმში გამართა შეხვედრა მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელ ჯგიმს ისტონთან, იმსჯელეს შეჯიბრების ჩატარების კონკრეტულ საკითხებზე და შექმნეს ერთობლივი სამუშაო კომისია.

სპორტის ეს ახალი სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპასა და ამერიკაში, აგრეთვე იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში. წლეულს, იანვარში იტალიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, მონაწილეობდნენ 13 ქვეყნის წარმომადგენლები — 19 ქალი და 35 ვაჟი, რომლებიც პირად პირველობასა და ესტაფეტაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ისროდნენ დგომელა და ჩოქელა.

მოთხილამურეები მშვილდით ჯერ კიდევ XII საუკუნის მიწურულს, სამოქალაქო ომებში იბრძოდნენ. იმედოვნებენ რომ, ისევე, როგორც ჩვეულებრივმა მშვილდოსნობამ მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოში და ოლიმპიურ თამაშებშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მშვილდოსანი ბიატლონისტების გამოსვლაც დაამშვენებს თეთრ ოლიმპიადას. ამიტომაც მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჯ. ისტონი იმედოვნებს, რომ მოკლე დროში მშვილდოსნური ბიატლონი შევა ზამთრის თამაშებში. ეს, ალბათ, მისი თქმით, 2006 წლის ოლიმპიადაზე მოხდება.

დიდი ჩოგბურთის ამბები

დევენპორტი გაჯდა და...



საკმაოდ ისეთი პირი უჭირან, რომ სულ მალე ქალთა ჩოგბურთში „ყოჩი“ შეიცვლება. 22 წლის ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა ზედიზედ მესამე ტურნირი მოიგო: ლოს-ანჯელესის „AcuRa classik“-ის ფინალში მან უპრინციპულეს მატჩში აჯობა შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს 4:6, 6:4, 6:3, რითაც ქალთა რეიტინგის კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფ ჰინგისს სულ ახლოს მიუახლოვდა და საკმარისია კიდევ ერთ შეჯიბრებაში მეტოქეზე უკეთესი შედეგი აჩვენოს, პირველ ადგილზე მოკალათდება.

უცხოელი ექსპერტების აზრით, ამერიკელი ჩოგბურთელის აღზევება განაპირობა იმან, რომ მან დაიკლო ზედმეტი წონა და კორტზე თავისუფლად და სწრაფად მოძრაობს.

რა ხდება ქვეყანაზე

შეიწირება რეკლამას ჩემპიონატი?

ლუდის რეკლამა ან დიდი ჰოკეი — ასეთი ძნელად გადასაწყვეტი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ ნორვეგიის მთავრობის წარმომადგენლები.

თუ ახსოვთ, გაიხსენეთ, გერმანიის ლუდის კონცერნ „ვერშტაინერს“ პროდუქციის რეკლამის ნება არ დართვენ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაშინ პირველობას სხვა რომელიმე ქვეყანა უმასპინძლებს.

ახლა ამ პრობლემის გადასაწყვეტად დაინტერესებულია ნორვეგიის სოციალური საქმეთა სამინისტრო, მან დღეს დღეზე უნდა გამოიტანოს თავისი ვერდიქტი, რომლის საფუძველზეც ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია საბოლოოდ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— ჩემპიონატის ორგკომიტეტი, უკვე ცხრა თვეა მუშაობს, 500 ათასი დოლარი დახარჯა ასპარეზობის მოსამზადებლად, რომელიც 1999 წლის 1 მაისს უნდა დაიწყოს, — განაცხადა ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, — იმედი მაქვს, ნორვეგია გამონაკლისს დაუშვებს და „ვერშტაინერს“ რეკლამას არ აუკრძალავს.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1977 წელს ნორვეგიაში ლუდის რეკლამის საწინააღმდეგო კანონი გამოიცა. მაშინ კონცერნებმა გამოსავალი იმაში გამონახეს, რომ უალკოჰოლო სასმელების რეკლამირება დაიწყეს, რაც აკრძალული არაა, მაგრამ კომპანიის დასახელებით აჭრელებული იყო პრესა.

წელს მთავრობამ კონცერნს მორიგი დარტყმა მიაყენა, როცა მიიღო ახალი კანონი, რომელიც კრძალავს იმ კომპანიების მსუბუქი ლუდის რეკლამას, რომლებიც მაგარ სასმელებსაც ამზადებენ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად უწყოდნენ ნორვეგიის სპორტის მამებმა, როცა 1995 წელს წარადგინეს განაცხადი შერჩის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე.

— თუ ნორვეგიას ჩემპიონატის ჩატარებას აუკრძალავენ, ლუდის რეკლამას მაინც მოვკრავთ თვალს ტელეეკრანებზე, — განაცხადა ორგკომიტეტის ხელმძღვანელმა ჰ. ედერერმა, — ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის დროს ფინეთიდან, შვეიცარიიდან, შვეიცარიიდან ან სხვა ქვეყნიდან, ვისაც ამ უფლებას მისცემენ. არავის სურს, რომ ჩემპიონატი ნორვეგიიდან გადაიტანონ, ფედერაცია ვალდებულია სპონსორების ინტერესები დაიცვას. „ვერშტაინერი“ კი ერთერთი მთავარი სპონსორია, რომელთანაც საერთაშორისო ფედერაციას მრავალწლიანი კონტრაქტები აქვს დადებული, ამიტომ არ შეიძლება მას პროდუქციის რეკლამის უფლება რომ ჩამოერთვას ჩემპიონატის მასპინძლობისას, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. ედერერმა.

თუ მოხდა ისე, რომ ნორვეგიას ჩემპიონატის ჩატარების უფლება არ მისცეს, იგი მეზობელ ფინეთში გადაიტანება.

ალბანელ ფეხბურთელებს თავშესაფარი უნდათ

ჰელსინკის თასის გათამაშებაში მონაწილეობის შემდეგ ტირანას ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა, მთლიანი შემადგენლობით მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი ამ ქვეყანაში. თავშესაფარი ითხოვა 28 კაცმა, მათ შორის 17 ფეხბურთელი მოზარდია.

— ალბანეთში ჩვენთვის მომავალი აღარ არსებობს, — განაცხადა გუნდის მწვრთნელმა ფ. ტარიამ, — შიშისა და შფოთის მეტი იქ არაფერია. მისი თქმით, გუნდის მოთამაშეებმა ტირანაშივე გადაწყვიტეს, რომ აღარ დაბრუნებულიყვნენ. მან მეუღლესთან ერთად ორი ვაჟიც წაიყვანა, მაგრამ უფროსი ქალიშვილი შინ დარჩა...

გუნდის მენეჯერმა დარეკა შინ და გაარკვია, რომ მის სახლს ნიღბიანი მამაკაცები სწვევიან და მამამისი წაუყვანიათ... ბიჭებს იმედი აქვთ, რომ თუ ფეხბურთელებს პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს, ფინეთში მათი მშობლებიც გადაბარგდებიან.

ჭადრაკი

სამპრასმა კვლავ წაიფორხილა

ვაჟთა საჩოგბურთო კლასიფიკაციაში ჩილელი მარსელო რიოსის აღზევება ბევრმა შემთხვევითობას მიაწერა და იმედოვნებდა, რომ გუშინდელი ლიდერი, ამერიკელი პიტ სამპრასი ცინცინატის „მერსედესის სუპერ-9“-ის ტურნირის ფინალს მოიგებდა და პირველობას დაიბრუნებდა. რიოსის საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ამაში ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი დაეხმარა, რომელმაც სძლია სამპრასს 1:6, 7:6, 6:4.

სიო ჟუნ – გალიამოვას მატჩის გამო

15 აგვისტოს ჩინეთში უნდა დაწყებულიყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სიო ჟუნისა და ალისა გალიამოვას ფინალური მატჩი ჟუჟა პოლგართან შეხვედრის უფლებისათვის.

როგორც წესი და რიგია, დანიშნულ დროს, მსაჯებმა ჩართეს საჭადრაკო საათი. გალიამოვა სათამაშოდ არ გამოცხადდა (იგი საერთოდ არ გამგზავრებულა ჩინეთში) და მას არა მარტო ამ პარტიაში, არამედ მთლიანად მატჩშიც წაგება ჩაეთვალა.

რაშია საქმე?

როცა ფიდემ იანვარში მატჩის ჩამტარებელ ქვეყანას ეძებდა, გადაწყდა, რომ უპირატესობა მიენიჭებოდა იმას, ვინც უკეთეს ფინანსურ პირობებს უზრუნველყოფდა. რუსულმა მხარემ, კერძოდ, თათრეთის რესპუბლიკის სპორტის მესვეურებმა დუმილი ამჯობინეს, მაშინ, როცა ჩინელებმა გამოაცხადეს, რომ შექმნეს 120 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდი. ამდენად, ორთაბრძოლის ჩატარების უფლებაც მათ მიენიჭათ. აი, მაშინ კი, ყაზანში გამოცხადდა, რომ თუ მატჩის პირველი ნახევრის ჩატარების უფლებას თათრეთს მისცემდნენ, იგი საპრიზო თანხის ნახევარს შეიტანდა.

ამის შემდეგ, ფიდემ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. დიდი დაგვიანებისათვის თათრეთის მხარეს უკვე 120 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო ჩინელებს თანხის ადრინდელის ნახევარი – 60 ათასი. ასეთ პირობებში მატჩის პირველი ნახევარი ყაზანში ჩატარდებოდა, შემდეგ კი მეტოქეები ჩინეთში გაემგზავრებოდნენ.

ამ ახალი პირობის შესრულებაზე თათრეთმა უარი განაცხადა, იგი თავის დისკრიმინაციად მიიჩნია.

ასე არ უნდათ და, ფიდემ კიდევ ერთხელ შეცვალა გადაწყვეტილება, მთელი მატჩი ისევ ჩინეთში გადაიტანა და... გალიამოვაც არ გამოცხადდა.

ეს თავშეუკავებელი ტაისონი

ჯოფილი მსოფლიო ჩემპიონი კრივში პროფესიონალთა შორის, მძიმეწონოსანი მაიკ ტაისონი ჯერ ძლივს იკავებდა ცრემლებს, შემდეგ გინებით აიკლო იქაურობა. სპორტსმენის ასეთმა საქციელმა უფრო დააეჭვა სამკაციანი მკაცრი კომისია, რომელიც შეიკრიბა, რომ გადაეწყვიტა მისცენ მას კიდევ დიდ სპორტში დასაბრუნებლად შანსი.

32 წლის ტაისონს, რომელმაც ადრე სამწლიანი სასჯელი მოიხადა მანდილოსნის გაუპატიურებისათვის, შარშან, ივნისში დისკვალიფიკაცია მისცეს ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრის შემდეგ, რომელსაც „რკინის მაიკმა“ ყურის ნაჭერი მოაკვნიტა ლას-ვეგასში ბრძოლისას. ნევადის შტატის კომისიამ იგი სამი მილიონი დოლარით დააჯარიმა და დაადგინა, რომ 12 თვის შემდეგ მოკრივეს შეუძლია პატიება ითხოვოს და გადახედონ მის საქმეს, ნება დართონ კვლავ გამოვიდეს რინგზე.

მაგრამ ტაისონმა ჩათვალა, ლას-ვეგასში არაფერი გამოუვა და თხოვნით მიმართა ნიუ-ჯერსის შტატს აღდგინათ მისთვის ლიცენზია, რითაც გაგებინა, რომ ამერიკის ყველაზე ცნობილ კურორტზე — ატლანტიკ-სიტიში აპირებს რინგზე გამოსვლას.

ნიუ-ჯერსის ათლეტთა კომისიამ ფედერალური პროკურორის თანაშემწის თავმჯდომარეობით მკაცრად დაჰკითხა მძიმეწონოსანი მისი უსაქციელობისა და მომავალი გეგმების გამო იმ მიზნით, რომ გაერკვია აქვს თუ არა ის თვისებები, რომელსაც შტატის კანონი უყენებს მოკრივეს — „პატიოსნება, წესიერება და პასუხისმგებლობა“, სწორედ ამან განარისხა ტაისონი. ვეღარ გაუძლო კომისიის „ჩამჭრელ“ უსიამოვნო კითხვებს, ლანძღვა-გინება დაატეხა თავს. მის რეაბილიტაციას ვერც ადვოკატის მჭერმეტყველებამ უშველა.

კომისიამ ახლა უნდა გადაწყიტოს ღირსია თუ არა ტაისონი ნიუ-ჯერსის რინგზე რომ გამოვიდეს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ დღეს უკვე აღარ ახსოვთ ტაისონის სკანდალური საქციელი რინგზე ჰოლიფილდის მიმართ და კრივის გურმანები ამ მეტოქეთა ახალი შეკრიბების მოლოდინში არიან, რომელიც აშკარად არ იქნება მოკლებული სანახაობას, და, როგორც მას უწოდეს, მართლაც „მილეული საუკუნის მატჩი“ იქნება.

ფოტო-კროსვორდი





გავიხსენოთ ატლანტაში გამართული 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

ვინ არიან ამ ფოტო-სურათებზე?

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ გამყრელაშვილი
(თბილისი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლb4! - 2. ბc3X,
1. ...baლ+ 2. ბd4X,
1. ...baბ 2. ბbcX,
1. ...b1ბ 2. ბec1X.

„ლელოს“ 65-ე ნომერში გამოქვეყნებული შეჯვარებული კროსვორდის პასუხები:

თარაჯულად: 5. იამანიძე, 6. ალამარი, 8. ანესთეზია, 11. ვარნა, 14. სალტო. 15. სეკტორი, 16. ორტეგა. 17. ეკრიტა, 21. ამანათი, 22. ფლორა, 23. ოსერი, 26. ხურცილავა, 27. ტრანზიტი, 28. ფანტაზია.

შვეულად: 1. სამპრასი, 2. სიონი, 3. დანია, 4. ორსანტია, 7. ათლეტი, 9. ინტერიერი, 10. პარაკლისი, 12. ბერგომი, 13. არგუთა, 18. პოლსტერი, 19, ანემია, 20. ზარანდია, 24. გურია, 25. სვანი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე